სამშაბათი, 1918 წ. გიორგობისთვის 5 № 209
წლიწადი მეოთხე

სამშაბათი, 1918 წ. გიორგობისთვის 5 № 209
ფასი თბილისში და პროვინციაში 50 კაპ. რკ. გზის სადგურებზე 60 კაპ.

საქართველო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღია დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

კონტორა

„საქართველოზე“ ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ეღირება—25 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 10 მანეთი. ცალკე № 50 კ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მან. უკანასკნელზე—80 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 20 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 (ახ. დრ.) საათიდან 3 საათამდე.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო“

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15--73

უკანასკნელი ცნობები

საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრად ევგენი გეგეჭკორი დაინიშნა.

ფლანდრიაში გერმანელებმა ქ. გენტამდე დაიხიეს.

ვალონსიენსთან და მის ქვემოდ ინგლისელები მძლავრ იერიშებს განაგრძობენ.

საფრანგეთის ჯარმა ენის გასავლელთან აიღო 6 სოფელი და ვონკის და შესნის ტყეები.

პოლონეთსა და უკრაინის შორის უთანხმოებაა.

გალიციაში უკრაინელები და პოლონელები ერთმანეთს ებრძვიან.

შეიდემანმა მემორანდუმი გადასცა რეიხსკანცლერს რომელშიაც თვისი პარტიის სახელით საჭიროდ ჰსცნობს ვილჰელმის ტახტიდან გადადგომას.

თანახმად რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებისა რესპუბლიკის რკინის გზა და ფოთის ნავთსადგური მისი რაიონით სამხედრო წესებში გამოცხადდა.

ბესარაბიაში და იზმაილში ინგლისელები შევიდნენ.

მოსკოვში სახალხო საბჭომ დაადგინა ყველა საბჭოთა კონგრესი მოიწვიოს.

ავსტრიაში რევოლუცია დაიწყო. ჯარის უმრავლესობა აჯანყებულთა მხარეზე გადადის და სტოვებს ბრძოლის ველს.

ბუდაპეშტში მოჰკლეს გრაფი სტეფანე ტისსა.

ვენაში რევოლუციონერებმა გაანთავისუფლეს ფრიდრიხ ადლერი, რომელიც სათავეში ჩაუდგა რევოლუციას.

სოც.-დემოკრატიულ პარტიის კრებაზე მიიღეს რეზოლიუცია ეროვნებათა თვითგამორკვევაზე. ამასვე ითხოულობენ გერმანიის ხალხისთვისაც.

ერასტი ივანეს ძე ჭავჭანიძე შვილებით: მიხეილ და კონსტანტინე (კოკი) და ელისაბედ იოსების ასული კოპაძისი გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ უდროოთ გარდაიცვალა ძვირფასი და დაუვიწყარი მეუღლე პირველისა, დედა მეორენის და შვილი მესამისა

ნინო გრიგოლის ასული

ჭავჭანიძისა

პანაშვიდები ყოველ დღე 6 ნახ. საათზე საღამოს. გამოსვენება ხუთშაბათს, 7 ნოემბერს დილის 10 საათზე საკუთარი სახლიდგან მიხეილის ქუჩა № 36 ქვაშვეთის წმიდა გიორგის ეკლესიაში. დაკრძალვა კუკიის წმიდა ნინოს სასაფლაოზე. 3—1854—1

ქართული საამშენებლო-სამრეწველო აქციონერული საზოგადოება

ოქროს ვერძი

ამით აცხადებს, რომ რადგან 30 ღვინობისთვეს ამ წლისა არ შესდგა უწყებებით და განცხადებებით მოწვეული საგანგებო კრება აქციონერების, ამისათვის წესდების 66 მუხლის ძალით მქციონერებს იწვევს მობრძანდნენ მეორე საგანგებო კრებაზე, რომელიც დანიშნულია ქ. ფოთში, საურთიერთო ნდობის საზოგადოების სადგომში. კვირას, 17 გიორგობისთვეს, დღისით 12 ს.

კრება კანონიერად ჩაითვლება მიუხედავად აქციონერთა რაოდენობისა. გაირჩევს იგივე საკითხები, რომლებიც პირველ კრებაზე უნდა გარჩეულიყო:

1) დანიშვნა ვადების. საზოგადოების აქციონერ-დამფუძნებელთა შორის გაწერილ აქციების შემოსატან გადასახადების და ამ გადასახადების რაოდენობისა.

2) გამგეობის ერთი წევრის გამოცვლა და სხ. (§ 40). 4—54—1

ახლად ჯარში გაწვეულ ახალგაზდათა საყურადღებოდ

საინჟინერო-სატეხნიკო სექციის უფროსი, ამით აცხადებს, რომ არსებულ რადიო-ტელეგრაფის შესასწავლათ საჭირონი არიან ახალგაზდა ჯარისკაცნი საშუალო ტეხნიკურის განათლებით. მსურველთ ევალებათ მიმართონ საინჟინერო-სატეხნიკო სექციას, რომელიც იმყოფება თბილისის სასახლის ქუჩაზედ ყოფილ მთავარი შტაბის შენობაში მეოთხე სართულზედ, ნაშუადღევის ორი საათიდგან ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა.

7—50—5 სამხედრო ინჟინერი პოლკოვნიკი თაყაიშვილი.

სახელმწიფო თეატრი

საოპერო სეზონი 1918 წლ. დირექცია ემლახოვისა
სამშაბათს, გიორგობისთვის 5-ს, დაიდგმის

ევგენი ანეგინი

ოპერა 3 მოქმედებად 7 სურადად, მუსიკა მ. ჩაიკოვსკისა.

მონაწილეობას იღებენ: შვამბერგი ტ. ა., იანსა მ. ა., მოროზოვისა, ზალიბსკი ბ. ი., ვრონსკი კ. ა., ისეცკი დ. ნ.

ფასები ძლიერ დაკლებულია.

დირიჟორი სამოსუდი. ◆ დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ოთხშაბათს, 6 გიორგობისთვეს ტ. ს. ორდას მონაწილეობით „პაიანცები“ 2 ბალეტი და სხ.

ავსტრია-უნგრეთისა და ოსმალეთის დაშლა

არც ოსმალეთისა და არც ავსტრია-უნგრეთის დაშლა არავისთვის არაფერს წარმოადგენს მოულოდნელს. ამ ოთხი წლის წინათ, როცა დიდი ომი ახლად დაწყებული იყო, საგაზეთო წერილში სხვათა შორის ვამბობდი: „როგორც ცეცხლის მფრქვეველი მთა, რომელიც ქვესკნელიდან ამოზიდულ გამდნარ მასსას აფრქვევს, ომი ეროვნების ფარულ ენერგიას ააშკარავებს. ამ სტიქიონის გამანადგურებელ ძალას მხოლოდ ისეთი სახელმწიფოები უძლებენ, რომელნიც გრანიტის კლდესავით ერთგვარი მასალისაგან შესდგებიან. სხვები კი ადვილად იშლებიან... ისეთი პოლიტიკური კონგლომერაციები, როგორიც მაგალითად ავსტრია-ჰუნგრეთი და ოსმალეთია, ეროვნულმა სახელმწიფოებმა უნდა შესცვალოს: ეს იქნება საშუალო საუკუნოებრივი ნაშთების საბოლოო ლიკვიდაცია, რომელიც მეოცე საუკუნემ უნდა იკისროს“ (მსოფლიო ომი და პატარა ეროვნებანი, „სახალხო ფურცელი“, 1914 წ.).

გასაკვირალი ის არის, რომ ავსტრია ჰუნგრეთმა და ოსმალეთმა ოთხი წლის განმავლობაში ასე თუ ისე მაინც გაუძლეს დიდს ომს· ეს გარემოება აიხსნება არა ამ სახელმწიფოების შინაგანი სიძლიერით, არამედ იმით, რომ მათ დიდი ეროვნული სახელმწიფო-გერმანიის იმპერია მფარველობდა, მათი მთავარი მოწინააღმდეგე კი რუსეთი იყო, რომელიც თვითონ ეროვნებათა კონგლომერაციას წარმოადგენდა. მაგრამ რუსეთის დაშლას თავის თავად არ შეეძლო მაცოცხლებელი ძალა ჩაებერა ჭაღარა ჰაბსბურგთა მონარქიისა და „ბოსფორის ავადმყოფ ადამიანისთვის“. არა ძლიერების, არამედ უძლურების წყაროდ გადაიქცა რუსეთის რევოლუცია ავსტრია-ჰუნგრეთისა და ოსმალეთისთვის. ეროვნებათა კრისტალიზაციის პროცესი, რომელიც რუსეთის ყოფილს ტერიტორიაზე დაიწყო, ძალაუნებურად უნდა მოსდებოდა მეზობელ სახელმწიფოებსაც.

დღეს წინასწარმეტყველობა საჭირო აღარ არის, დღეს თითქმის დასრულებულ მოვლენებთან გვიხდება ანგარიშის გაწევა. აღმოსავლეთი ევროპა და წინა აზია თითქო განახლდა დაგაახალგაზრდდა. გამართლდა გაბრიელ ჰანოტოს სიტყვები რომ კაცობრიობა ერთფეროვნებისაკენ კი არ მიდის, არამედ ნაწილდება და მრავალსახიანი ხდება: ზოგიერთი ერები აკვანში ინძრევიან, ზოგიერთი კიდევ საფლავში. ფაქტიურად ავსტრია-უნგრეთი აღარ არსებობს. სიმბოლიური მნიშვნელობა აქვს გრაფ სტ. ტისას მკვლელობას ომის დასრულებისას, როგორც სიმბოლიური მნიშვნელობა ჰქონდა ერცჰერცოგ ფერდინანდის მკვლელობას ომის დაწყებისას: საფლავში ჩავიდნენ უკანასკნელი ძლიერი დამცველები ორმაგი მონარქიის იდეისა.

მაგრამ როგორც რუსეთის დაშლამ გერმანელების იმედები გაამტყუნა, ისე ადვილად შეიძლება ოსმალეთისა და ავსტრია-ჰუნგრეთის დაშლამ ინგლის-საფრანგეთის იმედები გაამტყუნოს. ადვილი არ არის საუკუნოების მიერ გადმოცემული მემკვიდრეობის სამართლიანად განაწილება; ადვილი არ არის ეროვნული თვითგამორკვევის პრინციპის დაცვა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპასა და წინა აზიაში. ხოლო თუ ეს პრინციპი შეუბღალავად დაცულ იქმნა, შეიძლება ლომის კერძი სხვას არავის ერგოს გარდა გერმანიისა.

მართლაც გავიხსენოთ ზოგიერთი ფაქტი პოლიტიკური ეთნოგრაფიიდან. იუგო სლავიანები პრეტენზიებს აცხადებენ არა მარტო ფიუმესა და ზარახი, არამედ პოლასა და ტრიესტზე; ამავე ნავთსადგურებისკენ ხელს იწვდის იტალია. მაგრამ რომელი პრეტენდენტის ხელშიც არ უნდა გადავიდეს ადრიატიული ზღვის აღმოსავლეთი სანაპიროები, იუგო სლოვიანებისა თუ იტალიელებისა, ორივე შემთხვევაში ჩეხელებიცა, ჰუნგრელებიცა და ავსტრიელი გერმანელებიც სწყდებიან ზღვის კარებს. ჩეხები და სლოვაკები თავისად სთვლიან მთელს ბოჰემიას, მორავიას, სილეზია და ჩრდილო უნგრეთს: ბოჰემიელი დ სილეზიელი გერმანელები, ისევე როგორც ჰუნგრეთი წინააღმდეგია, რომ ჩეხოსლოვაკური სახელმწიფო ისტორიულ საზღვრებში აღსდგეს. რუმინიის სამეფოს უნდა მთელი ტრანსილვანიისა, აღმოსავლეთ ბანატისა და ბუკოვინის შეერთება: ამ რუმინულ ტერიტორიაში სოლებივით შეჭრილია ან კუნძულებივით გაბნეულია გერმანული, ჰუნგრული და უკრაინული მოსახლეობა. პოლონელებისა და უკრაინელების ინტერესები ერთმანეთს ეჯახებიან გალიციაში, სერბებისა და ჰუნგრელებისა დასავლეთ ბანატში.

ვშიშობთ რომ თვით ყოველის შემძლე პრეზიდენტი ვილსონი, რომელიც აგრეთვე ყოვლის მცოდნე პროფესორიც არის, თავს ვერ გაართმევს ამ დახლართულ პოლიტიკურ კომბინაციებს. ყოველს შემთხვევაში უეჭველია, რომ გერმანიის პოზიცია მომავალ საერთაშორისო კონგრესზე ისე სუსტი არ იქმნება როგორც მის მოწინააღმდეგეს აქვს წარმოდგენილი. ერთა თვითგამორკვევის პრინციპის მიხედვით ის მოითხოვს იმ თორმეტ მილიონი გერმანელის შეერთებას, რომელიც ავსტრიასა, ტიროლსა და ბოჰემიაში სცხოვრობს; და ამ მოთხოვას წინ შეეგება შეუდრეკელი მისწრაფება თვით ავსტრიელი გერმანელებისა: ამ ხალხს სლავიანური სტიქიონი წალეკს თუ ის თავის ეროვნულ სახელმწიფოს არ მიეკედლა.

არა ნაკლებ რთულ პრობლემებს აღძრავს ოტტომანთა იმპერიის დანაწილება. კონსტანტინოპოლზე პრეტენზიებს აცხადებს ბულგარეთიცა და საბერძნეთიც, სმირნის ვილაიეტზე საბერძნეთი და იტალია. სირია შეიძლება საფრანგეთსაც გადაეცეს, შეიძლება დამოუკიდებელიც გახდეს. არაბეთი და შუამდინარე ინგლისს სჭირია ეგვიპტისა და ინდოეთის გასაერთიანებლად და დიდი კოლონიური იმპერიის შესაქმნელად, მაგრამ ისურვებენ თუ არა არაბები დამოუკიდებლობის განწირვას ბალფურისა და კერზონის მიზნებისათვის, ეს კიდევ დიდი საკითხია.

ახირებული ამბავი მოსდით დიდს სახელმწიფოებს. ნეკრომანის მსგავსად მათ გამოიწვიეს ქვესკნელის ძალები და დღეს ველარ სძლებენ მათ დაურვებას. იმპერიებმა დაიწყეს დიდი ომი მსოფლიო ბატონობის მისაღწევად. მაგრამ ამ ომიდან შეიძლება ბოლოს გამარჯვებული გამოვიდეს არა დიდი გერმანია და არა დიდი ინგლისი, არამედ პაწია ერები, რომელიც ფრანგი მეცნიერის სიტყვებით რომ ვსთქვათ აქამდე არტახებში ინძრეოდნენ ან საფლავებში სთვლემდნენ.

ამ ფაქტიდან ჩვენმა სამშობლომ თამამი დასკვნები უნდა გააკეთოს. ჩვენ დავაარსეთ ეროვნული სახელმწიფო; ეს შეეფერება დიდს ისტორიულ სულს, რომელიც ძლიერია წარმავალ პოლიტიკურ კომბინაციებსა და ინტრიგებზე. თუ ავსტრია-ჰუნგრეთის დაშლამ და ცენტრალური კავშირის შესუსტებამ ზოგიერთ ქართველ პატრიოტში მელანქოლია გამოიწვია ან მით უმეტეს შიში, მან უნდა გაიხსენოს, რომ ეს ფაქტი იმავე მოვლენათა რიგს ეკუთვნის, რომელსაც რუსეთის დამარცხება ეკუთვნოდა. რუსეთის დაშლა არ ყოფილა შემთხვევითი მოვლენა, და რუსეთის აღდგენა აღარ შეუძლია შემთხვევით გმირებს. დენიკინისა და კრასნოვის ხმალი სუსტია ისტორიულ აუცილებლობის წინაშე.

გერონტი ქიქოძე.

რაშია საქმე?

„კომუნისტების მიერ შიმშილობის გამოცხადების მეცხრე დღეს მათ სენატორ ნ. სოკოლოვის საშუალებით გამოეცხადა რომ გაანთავისუფლებენ. ღვინობისთვის 27-ს კომუნისტებმა სიმშილი შესწყვიტეს. ისინი გაგზავნილ იქმნებიან საქართველოს საზღვარს იქით“.

ესეთია ცნობა მთავრობის ოფიციოზისა.

კომუნისტების, ანუ „ბოლშევიკების“ სიმშილობა საკმაოდ პოპულარული გახდა ჩვენში იმ შეკითხვის გამო, რომელიც საქართველოს პარლამენტში სომეხ-დეპუტატებმა თარხანოვ-თუმანოვმა შეიტანეს.

ეს პირები ამტკიცებდენ რომ, ციხეში ბოლშევიკები უდანაშაულოდ სხედან და მთავრობას არავითარი ბრალდება არ წარუდგენია მათთვის; თარხანოვ-თუმანოვის შეკითხვამ დამცველები, თითქმის, ყველა რუსულ-სომხურ გაზეთებში ჰპოვა და ყველა ის ელემენტები, რომელნიც მუდამ დარაჯათ სდგანან, რომ საქართველოს და, კერძოდ, მის მთავრობას ყოველი წუნი გამოუნახონ, ერთხმად ამხედრდნენ ამ „ძალმომრეობის“ წინაალმდეგ:

რუსი—ესერები.
რუსი—კადეტები.
და ყველა ჯურის სომხობა.

ხალხი, რომელთათვის ბოლშევიკების სახელი მუდმივად სიბრაზის მომგვრელია, მათ დამცველათ გამოვიდნენ მხოლოდ მისთვის, რომ ამით საქართველოს წინააღმდეგ გაილაშქრათ.

და ისინი უდანაშაულოთ იცვნეს.

დუშეთის ტრაგედია, ლეჩხუმის ამბები და ქუთაისის შიში—საკმარისი მოგონებაა, რომ ჩვენს თვალ წინ აღსდგეს ბოლშევიკების მოღალატური მოღვაწეობა.

ანარქიით მოცული საქართველო და წარსული კოშმარები, რომელთა მოგონებაც კი ჟრუანტელს ჰგვრის ყველას, ნუ თუ საკმაო ბრალდება არ არის, რომ ამის ჩამდენი ხალხი მოცილებულ იქმნან ჩვენს საზოგადოებას?

როდესაც პარლამენტში სოც.-დემ. ნინიძემ ამ ბოლშევიკების დამცველთა წინააღმდეგ გაილაშქრა, მისი გამოსვლა კმაყოფილებით აღინიშნა ყველა ქართულ მიმდინარეობათა მიერ.

ჩვენ გვინდა გვეწამა, რომ სოც.-დემოკრატებში პატრიოტული ვალდებულება სძლევს იმ უსიამოვნო განცდათ, რომელთა გამოწვევას ლამობდენ, მათი თითქოს სოციალისტობიდან დაშორების დაძრახვით.

ოფიციოზის განცხადებას კი, ჩვენ გაოცებაში მოვყევართ:

„მთავრობის თავმჯდომარემ სენატორ სოკოლოვის საშუალებით გამოუცხადა ბოლშევიკებს, რომ ისინი განთავისუფლებულნი იქნებიან“.

რას ნიშნავს ეს?

ან რას ნიშნავს ამ „სენატორ სოკოლოვის შუამავლობა“.

თუ კი ამ ხალხის ამდენი ხანი ციხეში ჯდომა მთავრობას საჭიროდ მიაჩნდა, რა მოხდა ეხლა?

ნუ თუ გაქცევა არა სოციალისტურ ზომების მიღებისათვის?

ან სოკოლოვის შუამდგომლობა?

თუ მიზეზია პირველი მოსაზრება მთავრობა მისგან ხომ მაინც თავს ვერ გაინთავისუფლებს დ ჩადენილ „კონტრ-რევოლუციონერობას“ მას რუს-სომხობა მაინც არ აპატიებს.

კაპიტულაცია ამ ხალხისაგან მოტანილ იერიშების წინაშე, რომელთა მიზანი მხოლოდ საქართველოს დამხობაა და, მით უმეტეს, მისი მთავრობისა, მეტი რომ არ ვსთქვათ, დიდათ სათაკილოა.

თუ მეორე მოსაზრებაა მიზეზი, გაოცება მით უმეტესია.

ვინ არის ეს სოკოლოვი?

საქართველო გადიქცა თავშესაფარად იმ ხალხისა, რომელმაც ვერ აიტანა რუსეთის ბოლშევიზმი და ერთად ერთ მყუდრო კუთხეში, ყოფილ რუსეთის ტერიტორიაში, მოსძებნა უშიშარი ბინა ფიზიკური გადარჩენისთვის ბოლშევიკური ჯალათობისაგან.

საქართველოში ემიგრაციას ეწევიან ყველა ის პირნი, რომელთაც რუსეთში ასპარეზი გამოაცალეს მოღვაწეობისთვის.

საქართველოს მთავრობა, ჩვეული ქართულ სტუმართ-მოყვარეობით ღია კარებს ხსნის მათი მობრძანებისთვის.

და სტუმრები კი პატიოსნობისთვის დროს არ ართმევენ:

რიგ რიგობით აუღია გზა ჩვენსკენ ამ ხალხს:

მოდიან, ეცნობიან საქართველოს მდგომარეობას და შემდეგ ჩვენს წინააღმდეგ იმართებიან:

აქ იყო ამ მოკლე ხანში ყოფილი რუსი მინისტრი პერევერზევი, რომელიც ძალიან კმაყოფილი დარჩა საქართველოს მყუდროებით, მაგრამ მალე მისი კვალიც გაჰქრა და ეხლა მას ყუბანში ამოუყვია თავი და იქიდან ზარბაზნებს გვიღერებს.

ამბობენ, რომ ცოტა ხანში მოსვლას აპირებს ესერების ცნობილი ბელადი მინორი; უთუოდ მას სხვებიც მოყვებიან; ჯერ ჯერობით კი მოსულა და კარგადაც მოწყობილა ბ-ნი სოკოლოვი.

ვინ არის იგი?

ძველ რუსეთში განთქმული იყო წითელ სიტყვაობით, ერთი-ვექილი რომელმაც სახელი მოიხვეჭა მით, რომ უფასოდ იცავდა მაშინ დევნილ სოციალდემოკრატებს.

რევოლუცია ასეთი პირისთვის, ხომ საუკეთესო სარბიელი უნდა ყოფილიყო და პირველ მუშათა საბჭოში იგი აბრძანდა თავმჯდომარის ამხანაგის სიმაღლემდე და თავისი სახელი ის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტორიულად გახადა მით, რომ შეადგინა ის „ბრძანება № 1“, რომელმაც ასე ადვილად გასწმინდა გზა ბოლშევიზმისაკენ.

დღეს ამ პირს რუსეთში გაჩერება არ შეუძლია:

ბოლშევიკები მას სდევნიან მისთვის, რომ სავსებით ლენინობა ვერ შესძლო.

არა ბოლშევიკები მას ბოლშევიზმის გამარჯვების ერთ ერთ მიზეზად სთვლიან.

და თავშესაფარი საქართველოში მოუძებნია.

საქართველოს მთავრობა, რომელიც ყოფილ მისი ამხანაგებისაგან შესდგება, თქმა არ უნდა, შეცდილა, რომ იგი კარგად მოეწყო აქ.

და „საადგილ მამულო მართველობის“ სათავეში დანიშნა.

თავის დროზედ ჩვენ გაგვაოცა ამ დანიშვნამ, რადგან ეს საქმე საგნის სპეციალურ ცოდნას ითხოვდა, მაგრამ მისი დანიშნულება მარტო ადგილ-მამულების გამგებლობა არ ყოფილა.

ბ-ნს სოკოლოვს ბოლშევიკ-მენშევიკების შორის შუამავლობა დაუწყვია და როგორც სჩანს მიზანსაც აღწევს მისი მოღვაწეობა.

მისი „საშუალებით“ ანთავისუფლებენ ბოლშევიკებს.

ესე გვაუწყებს მთავრობის ოფიციოზი.

დღეს საქართველოს ცაზედ ისევ იკრიფებიან საეჭვო ღრუბლები. სხვა და სხვა ადგილებიდან ცნობები მოდის, რომ ანარქია ისევ თავს იღებს; გორის მაზრაში ბოლშევიკების პროკლამაციები ვრცელდებიან და ამავე დროს თბილისში ბოლშევიკურმა გაზეთმაც გამოსვლა იწყო.

ესეთს დროს გაორკეცებული ზომებია საჭირო, რომ ის ელემენტებიც კი, რომელნიც თავისუფლად თარეშობენ ჩვენს სახელმწიფოში და აღელვებას იწვევენ, იმავე ბინაზედ მოაქციონ, სადაც დატუსაღებული კომუნისტები სხედან.

ამის ნაცვლად მთავრობა ამათაც ანთავისუფლებს.

და მათ გაზეთის გამოცემის ნებას რთავს.

რაშია საქმე?

ლ. ჯაფარიძე.

ბნელი კუთხე.

ისტორიკოსები მოგვითხრობენ, როცა სკვითები მტერს დაამარცხებდენ, დამარცხებულთ ხელფეხ შეკრულთ ერთ ადგილს დაჰყრიდენ ჯორკოებად და ზედ დაასხდებოდენ და ისე ქეიფობდენო. სასმელ ჯამებათაც დახოცილთა თავის ქალებს ხმარობდენ.

სწორედ ეს სურათი დამიდგებოდა თვალ წინ ყოველთვის, როცა ჩაუვლიდი ეგრედ წოდებულ „დიდების საყდარს“ გამოჭიმულს ალექსანდრეს ბაღში. ესაა სიმბოლო უდიერთ ბატონობისა, რომელიც მონებს მოაგონებდა რა გზით მოესართ მათ თავისუფლება. ვფიქრობდი, როცა მისი შემომქმედი ბატონები გაგვეცლებოდენ, ეს ჩვენი დამონების ძეგლიც ან სულ მოიშლებოდა ან და რაიმე ხეირიან დანიშნულებას მიიღებდა.

მაგრამ იმედი გაგვიცრუვდა. ამბობენ მანდ ეხლა სამხედრო სამინისტროს არქივი არისო. ეს არ ვიცი. ის კი ცხადია, რომ იქ ქართველის ჭაჭანება არ არის. თავი მოუყრია ხუთიოდე რუსის ღენერალს თუ არა ღერენალს და რაღაცას ჩურჩულობენ. ამ ბოლო დროს ამ ჩურჩულს მადიანი ხარხარიც ხშირად დაჰყვება. ალბად ჩვენს „მეგობრებს“ რაიმე იმედი ულიმით რომ ხელახლა ეს ჩვენი თავისუფლების ლოდი გაბრწყინვებული დაინახონ. შესანიშნავი ნაციონალიზაციააა,თქვენ ნუ მომიკვდეთ!

თუ იმ ყუთებს მცველები ესაჭიროება, ნუ თუ ბ-ნმა სამხედრო მინისტრმა, ღერენლებზე ნაკლები ხარისხის ხალხი ვეღარ იპოვა ამ საქმისათვის. ან და რა ყუთების შესანახია მანდ? ჩვენ-ათასი ადგილი გვაქვს ასეთი ბარგისთვის.

გაცილებით უმჯობესი იქნებოდა ეს ადგილი დაგვეთმოთ ქართველ მხატვრებისათვის, რომელნიც დღემდე დიდი ხანია ერთს გამოფენას მაინც მოაწყობდენ და დღეს რომ სრულიად უპატრონოთ ყრიან, ცოტას მაინც სულს მოითქვამდენ.

რაც შეეხება იქ დაგროვილ მასალების დამუშავებას, ამისთვის იქ ერთი კაციც არ მეგულება. შეიძლება ყველა შესანიშნავი ისტორიკოსი იყოს მაგრამ არც ერთი მათგანი ჩვენს ისტორიას არ დასწერს, ჩვენი და ჩვენი მეზობლების დამონების ისტორიას თუ დასწერენ მხოლოდ. ყურადღება ამ ბნელს კუთხეს!

პ. ხურგულაძე.

საქართველოს პარლამენტში

1 გიორგობისთვის სხდომა.

თავმჯდომარეობს **ნიკ. ჩხეიძე.**

დამფუძნებელ კრების საარჩევნო დებულება.

გრძელდება წარსულ სხდომაზედ შეწყვეტილი მუხლობრივი განხილვა დამფუძნებელი კრების საარჩევნო დებულებისა.

ადმინისტრაცია და საარჩევნო უფლება.

კამათს იწვევს II თავის 5 მუხლი, რომელშიაც ნათქვამია, რომ არც აქტიური და არც პასიური უფლება არ ეძლევათ ადმინისტრაციაში მოსამსახურეთ.

მ. რუხია (ს. დ.) აცხადებს, რომ იურიდიული კომისიის აზრით ადმინისტრაციაში მოსამსახურენი უნდა აღჭურვილნი იქნენ ამ უფლებით.

სპირიდონ კედია (ე. დ.) საჭიროდ სთვლის, რომ ადმინისტრაციაში მოსამსახურენი აღჭურვილნი იქნენ აქტიური საარჩევნო უფლებით და მოკლებულნი პასიურ უფლებას.

რ. არსენიძე (სოც. დემ.) საჭიროთ სთვლის ამ მოსამსახურეთ ორივე უფლებანი მიეცესთ, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ამ სამსახურს ღირსეული პირები თავს დაანებებენ.

მ. ნუცუბიძე (ს. ფ.) აღნიშნავს, რომ ხალხის ნამდვილი ნებისყოფის გამოხატვისათვის საჭიროა, რომ საარჩევნო უფლებას სრულებით მოკლებული იქნეს ადმინისტრაცია, რომელსაც შეუძლია ამომრჩევლებზედ დიდი გავლენა მოახდინოსო.

კირილე ნინიძე (ს. დ.) ემხრობა რ. არსენიძის აზრს, ხოლო ი. გობეჩია (ს. რ.) მ. ნუცუბიძეს.

კენჭის ყრა.

კენჭის ყრით ხმის უმეტესობით მიღებულ იქმნა სოც.-დემ. წინადადება, რომ დებულებიდან ამოშლილ იქნას სრულებით ის მუხლი, რომელშიაც ნათქვამია, რომ ადმინისტრაციაში მოსამსახურენი მოკლებულ იქმნან საარჩევნო უფლებას.

დეპუტატის ცენზი.

მუხლი 7: არჩეულ რომ იქმნას ამის უფლება იმ პირსაც აქვს, რომელიც სრულებით არაა შეტანილი საარჩევნო სიაში.

სპირიდონ კედია.

დეპუტატის წლოვანობა.

ამ მუხლში ჩვენ ვეხებით მოქალაქის პასიურ საარჩევნო უფლებას. წინა სხდომაზედ უკვე განვიხილეთ მოქალაქის აქტიური უფლების საკითხი და ჰასაკათ დავაწესეთ 20 წელი.

თუ ხმის მიცემა და დეპუტატის არჩევა ყოველ სრულ წლოვან მოქალაქეს შეეძლება, ყველას არ შეეძლება საკანონმდებლო მუშაობა, რომელიც ისეთს დადებით თვისებებს ითხოვს, რომელიც ბევრს აკლია.

ეს პასსიური უფლება უპირველესად ყოვლისა ჩვენ გვინდა გავარჩიოთ წლოვანების მხრით.

აქტიური უფლება მივანიჭეთ 20 წლის მოქალაქეს.

რომ არჩეულ იყოს დეპუტატი, ამისთვის სხვა კანონია საჭირო.

20 წლის ყმაწვილს არ შეუძლია ღრმა ანალიზი გაუკეთოს მოვლენათ; მას არ შეუძლია ცხოვრებასთან ჰქონდეს ისეთი კონტაქტი, რომ კანონი დასწეროს პრინციპისა და სინამდვილის შეფარდებით. ეს მოსაზრებანი მიღებულნი იყვენ მხედველობაში ყველა იმ ქვეყნებში, სადაც საკანონმდებლო მუშაობას დიდი ისტორია აქვს.

მაგალითისთვის მე დავასახელებ რამოდენიმე ქვეყანას: არგენტინის რესპუბლიკაში მიღებულია 25 წელი; ესევეა მექსიკაში, შეერთებულ შტატებში, საფრანგეთში—რესპუბლიკანურ ქვეყნებში. ესევეა მონარქიულ ქვეყნებში, სადაც 25 წელი ზოგადი მოვლენაა და ზოგან 30 წელიც კი.

ჩვენში კი, სადაც ნაკლებია განვითარება, ვიდრე ამ ქვეყნებში საკანონმდებლო დაწესებულების წევრისათვის ამაზედ ნაკლები წლოვანების დაწესება ყოვლად შეუძლებელია.

ჩვენ მიგვაჩნია საჭიროდ, რომ დეპუტატათ შესაძლებელი იყოს არჩევა იმ მოქალაქისა, რომელსაც არჩევნების დღისათვის შეუსრულდება 25 წელი.

დეპუტატმა უნდა იცოდეს სახელმწიფო ენა და წერა-კითხვა.

ეს წლოვანება. არის კიდევ სხვა მხარეც.

დეპუტატმა უნდა, აუცილებლად, იცოდეს სახელმწიფო ენა, რომ საკანონმდებლო მუშაობა მიმდინარეობდეს ნორმალურად და არავითარი დაბრკოლება არ ელობებოდეს წინ.

ჩვენ მიგვაჩნია საჭიროდ აგრეთვე, რომ დეპუტატმა იცოდეს წერა-კითხვა, რადგან შეუძლებელია კანონი დასწეროს ისეთმა კაცმა, რომელსაც თავის სახელისა და გვარის მოწერა არ შეეძლება და მის ნაცვლად ჯვარსა სვამს.

ამ ნაირად ჩვენ მიგვაჩნია აუცილებლად, რომ პასიური საარჩევნო უფლებით სარგებლობდეს ისეთი მოქალაქე, რომელსაც არჩევნების დღისათვის შეუსრულდება 25 წელი, ეცოდინება წერა-კითხვა და სახელმწიფო ენა.

მომხსენებლის პასუხი.

სპ. კედიას უპასუხებს მომხსენებელი **ალ. ლომთათიძე:**

ბ-ნმა კედიამ წამოაყენა ორი მოსაზრება: რომ დეპუტატი იყოს არა ნაკლები 25 წლისა და სახელმწიფო ენა და წერა-კითხვა იცოდეს.

რაც შეეხება პირველ მოსაზრებას, ჩემის აზრით არც ერთი პარტია არ დაასახელებს ისეთს კაცს, რომელიც ღირსეული არ იყოს დეპუტატის ხარისხისა! ზოგადად, რასაკვირველია 20 წლის ყმაწვილი არ იქნება მომზადებული საკანონმდებლო მოღვაწეობისათვის, მაგრამ შეიძლება იყოს შემთხვევა, რომ ამ წლოვანების ყმაწვილი სავსებით შესაფერი იქნეს საპარლამენტო მუშაობისათვის და რათ არ უნდა მივსცეთ მას ამის უფლება?

რაც შეეხება მეორე მოსაზრებებს, რომ დეპუტატმა უნდა იცოდეს სახელმწიფო ენა და წერა-კითხვა—ეს თავის თავად ცხადია, და არც ერთი პარტია ასეთ პირს სიაში არ შეიტანს და ამისთვის ამის აღნიშვნა კანონში მე საჭიროდ არ მიმაჩნია.

საერთოდ კი ეს მუხლი ამბობს: „არჩეულ რომ იქმნას, ამის უფლება იმ პირსა აქვს, რომელიც სრულებით არ იქნება შეტანილი „საარჩევნოსიაში“.ამ მუხლს მე ვიცავ იმ მოსაზრებით, რომ შესაძლებელი იქნეს დეპუტატებათ არჩევა იმ პირთა, რომელნიც არჩევნების დროისათვის საქართველოში არ იქნებიან. მაგალითად: აკაკი ჩხენკელს, ან მიხაკო წერეთელს, რომელნიც ამ ჟამად უცხოეთში იმყოფებიან და, შესაძლოა, საარჩევნო სიებში არც მოხვდნენ, რათ უნდა მოესპოთ უფლება დამფუძნებელ კრებაში არჩევისა?

კენჭის ყრა.

თავმჯდომარე კენჭს უყრის **სპ. კედიას** წინადადებას, რომ დეპუტატმა იცოდეს სახელმწიფო ენა და წერა-კითხვა; 29 ხმით წინააღმდეგი 25-ისა წინადადება უარყოფილ იქმნა.

წინააღმდეგი არიან სოციალ-დემოკრატები, მომხრე დანარჩენი ფრაქციები.

ასეთსავე შედეგს აღწევს **სპ. კედიას** მეორე წინადადებაც, რომ დეპუტატად არჩევის უფლება ჰქონდეს იმ მოქალაქეს, რომელსაც არჩევნების დღისთვის 25 წელი შეუსრულდება.

საარჩევნო კომისიები

ცენტრალური კომისია.

მუხლი 9. არჩევნების წარმოების გამგებლობა ეკისრებათ რესპუბლიკის ცენტრალურსა, საქალაქო, სამაზრო, სასოფლო საზოგადოებისა და სოფლის წვრილ საარჩევნო კომისიებს.

მუხლი 10. რესპუბლიკის ცენტრალ საარჩევნო კომისიას ირჩევს საქართველოს პარლამენტი ცამეტი კაცისაგან. კომისია ირჩევს თავის წრიდან თავმჯდომარეს, თავმჯდომარის ამხანაგს და მდივანს.

ლეო ნათაძე (ს.-დ.): შეაქვს შესწორება, რომ კომისიის წევრთა რიცხვი გადიდებულ იქმნას 21-დე, რომ ყველა პარლამენტის ფრაქციებს მიეცეთ წარმომადგენლობის საშუალება ესეთის განაწილებით: 7 სოციალ-დემოკრ., 2 სოც.-ფედ. და თითო ყველა სხვა ფრაქიათ.

შესწორება მიღებილ იქმნა.

მუხლი 12. სამაზრო საარჩევნო კომისიას ადგენს სამაზრო თვითმმართველობის გამგეობა, რომელიც თავის წრიდან ირჩევს თავმჯდომარეს, ან გამგის წევრს, რომელიც კომისიას ადგენს მაზრაში ყველა მომქმედ პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენელთაგან ძალთა განწყობილების მიხედვით.

შალვა მიქელაძეს (ს.-ფ.). შეაქვს შესწორება, რომ კომისიას ადგენდეს თვით გამგეობა.

სპირიდონ კედია

შალვა მიქელაძის წინადადება ყოვლად შეუწყნარებელია. ეს იქნება საარჩევნო კომპანიის თავიდანვე შეყალბება. სამაზრო და სასოფლო კომისია ყველაზე ახლო უდგას ხალხს და აწყობს საარჩევნო საქმეს. და იგი სრულებით გარეშე უნდა იდგეს იმ პარტიულ შეხლა-შემოხლისა, რომელიც თან სდევს არჩევნებს.

ეს კომისია უნდა შეადგინოს ისეთმა დაწესებულებებმა, რომელიც გარეშე სდგას პარტიული აგიტაციისა. ასეთი დაწესებულებაა სასამართლო.

ამ პრინციპის მიღება იქნებოდა გარანტია არჩევნების კანონიერი მსვლელობისა.

შემდეგ: თუ მივიღეთ მეორე ნახევარი პირველი აბზაცისა, რომ კომისია შედგენილ იქმნას პარტიულ ძალთა განწყობილების მიხედვით, ჩვენ შევქმნით ისეთს დაწესებულებას, სადაც გაჩაღდება პარტიული ბრძოლა; ჩვენის აზრით კი ეს სამაზრო კომისია უნდა იდგეს გარეშე აი ამ ბრძოლისა, და ამისათვის მის შედგენაში პარტიათა წარმომადგენლობის სრული თანაბარობა უნდა იქნეს დაცული. ყველა ამ მოსაზრებათა მიხედვით მე ვიძლევი წინადადებას, რომ სამაზრო საარჩევნო კომისია შეადგინოს ოლქის სასამართლოს წევრმა, ან მომრიგებელმა მოსამართლემ ადგილობრივ მომქმედ პარტიათა წარმომადგენელთაგან თანაბარობის პრინციპით.

არსენიძე (ს.-დ.)

ბ-ნ შალვა მიქელაძის წინადადება, რომ კომისიები შეადგინოს სამაზრო თვითმართველობათა გამგეობებმა და არა რომელიმე მისმა წევრმა ჩვენთვის სავსებით მისაღებია. რაც შეეხება ძირითადი პრინციპის შეცვლას ძალთა განწყობილების შესახებ, რომელიც პარლამენტის წევრმა სპ. კედიამ წამოაყენა, ყოვლად შეუძლებელია. ჯერ მარტო პარლამენტში ჩვენ დავთვალეთ ოცამდე სხვადასხვა მიმდინარეობა და რამდენი ჯგუფიც არჩევნების დროს თავს წამოყოფს, თუ ყველას კომისიაში ადგილი მივეცით, თქვენ წარმოიდგინეთ თუ როგორი კომისია იქნება? აქამდე ყველა ესეთს შემთხვევებში პარტიათა წარმომადგენლობა ძალთა განწყობილების მიხედვით ხდებოდა და განა უმრავლესობის პარტიას აქამდე ვინ დაუჩაგრია, რომ ეხლა დაჩაგროს. (მარჯვნივ და ცენტრში სიცილია). რაც შეეხება იმ მოსაზრებას, რომ კომისიები მომრიგ. მოსამართ. შეადგინონ, მე საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ მათ ჯერ ისეთი არაფერი გაუკეთებიათ, რომ ესეთი პასუხსაგები საქმე მივანდოთ.

სპ. კედიას პასუხი

წინა სხდომაზე ჩვენ მოვისმინეთ შემდეგი განცხადება: „ჩვენ ვაარსებთ ერთს საარჩევნო ოლქს, რომ ყველას საშუალება მივცეთ ყველა მიმდინარეობათ თავიანთი წარმომადგენლები გააგზავნონ დამფუძნებელ კრებაშიო.“

ასეთი იყო განცხადება ბ-ნი არსენიძისა.

ეხლა, როდესაც სწორეთ ამ პრინციპის ძალით ჩვენ ვითხოვთ პარტიათა თანაბარ წარმომადგენლობას, ბ-ნი არსენიძე კრიტიკას უკეთებს ამ წინადადებას და მის წინააღმდეგ ლაპარაკობს.

ის მოსაზრება ბ-ნი არსენიძისა, თითქოს შეუძლებელი იყოს ამ პრინციპის დაცვა მისთვის, რომ მრავალი პარტია არის—სრულებით საფუძვლიანი არ არის.

ჩვენს წინადადებაში გარკვეულად იყო ნათქვამი, რომ სამაზრო კომისიაში შესულიყო თანაბარი რიცხვი მომქმედ პარტიათა წარმომადგენლებისა და თქვენ კარგათ მოგეხსენებათ, რომ ამ მომქმედ პარტიათა რიცხვი 3, ან 4-ს არსად არ აღემატება.

ჩვენც ვერ გავიზიარებთ ვერც იმ დებულებას, თითქოს სამართლიანობა ამ ძალთა განწყობილების გამორკვევის დროს უსათუოდ დაცული იქნება.

კანონი მისთვის არის, რომ იქ ყველაფერი ნათლად იყოს გამორკვეული და არავითარ სუბიექტურ ახსნა-განმარტებას მის შემსრულებელთაგან ადგილი არა ჰქონდეს.

ბ-ნმა არსენიძემ პრინციპალურად გაიმეორა ჩვენი წინადადება, რომ კომისიების შედგენა მოსამართლეებს მიენდოს მაგრამ, იგი მისაღებად ვერ იცნო იმ მოსაზრებით, რომ ამ მოსამართლეებს ჯერ არაფერი გაუკეთებიათ.

თუ იმის და მიხედვით ვილაპარაკეთ, თუ ვინ, და რა გააკეთა, შეიძლება სხვა ორგანოთაც შევეხოთ...

მომხსენებელი ალ. ლომთათიძე პრინციპიალურად მომხრეა, რომ კომისიების შედგენა მოსამართლეთ მიენდოთ.

კენჭის ყრა.

კენჭის ყრით სპ. კედიას წინადადება უარყოფილ იქმნა.

საარჩევნო ბარათები.

საარჩევნო კონვერტები.

მე-56 მუხლში, სადაც ნათქვამია, რომ საარჩევნო კონვერტები ბეჭედ დასმულ იქმნენ საარჩევნო კომისიის მიერ, **სპ. კედიას** შეაქვს შესწორება, რომ მეტი გარანტიისათვის ხელმოწერილნიც იქმნენ ცენტრალურ საარჩევნო კომისიის მიერ.

მომხსენებელი ლომთათიძე თანახმაა ამ წინადადებისა, მაგრამ პარლამენტის მიერ იგი მაინც უარყოფილ იქმნა.

საარჩევნო მოწმობები.

მუხლი 60. საქალაქოს საარჩევნო კომისიები წინდაწინ ამზადებენ სახელობით მოწმობებს ქალაქის თვითეულ ამრჩევლისთვის. ამ მოწმობებში აღინიშნება სახელი, მამის სახელი და გვარი, ან მეტი სახელი ამრჩევლისა, მისამართი, საარჩევნო ნაწილი და ის ნუმერი, რომელიც ამრჩევლის რიგს აღნიშნავს საარჩევნო სიაში.

რ. გაბაშვილი (დ. ნ. დ.) წინააღმდეგია მეტი სახელისა, რადგან ამის გამო შესაძლებელია მრავალ ბოროტ მოქმედების ჩადენა.

ივ. გომართელი (ალიონი) საჭიროდ სცნობს მეტ სახელების დატოვებას, რადგან ხშირად საზოგადოება ამა თუ იმ პირს ამ მეტ სახელებით უფრო იცნობს ვიდრე ნამდვილ სახელებით, მაგალითად ვეშაპელს უფრო მეტი იცნობს, ვიდრე ვეშაპიძეს.

რ. გაბაშვილი. აქ უთუოდ გაუგებრობაა. მე არ მითქვამს, რომ მეტი სახელები საჭირო არ არიან. მაგრამ კანონში ნათქვამია, რომ ან სახელი, და ან მეტი სახელი უნდა იყოს სახელი და გვარი და თუ საჭიროა ფრჩხილებში მეტი სახელი. მაგალითად: ჩხეიძე ნიკოლოზ (კარლო); მე ვეთანხმები ბ-ნ გომართელს, რომ ამ მეტი სახელებით ხშირად უფრო იცნობენ ჩვენში მაგალითად: ხომერიკი ნოე ან „ხუნხუზა“, ან კიდევ ერაძე, ანუ „ბროდიაგა“. თუ საჭიროა, რასაკვირველია, ეს მეტი სახელებიც, შესაძლებელია, მოხსენებულ იქმნან.

მომხსენებელი **ალ. ლომთათიძე** თანახმაა ამ წინადადებისა.

წინადადება მიღებულ იქმნა.

შემდეგ უკამათოთ მიღებულ იქმნენ დებულების ყველა დანარჩენი მუხლები და აგრეთვე დამტკიცდა საარჩევნო კომისიების შტატები **ი. ლორთქიფანიძეს** (ს. რ.) შესწორებით, რომ ამ კომისიებში მომუშავეთ, სამუშაოს დასრულების შემდეგ სალიკვიდაციო გასამრჯელო არ მიეცეთ.

კანონპროექტი

შემდეგ პარლამენტი, თითქმის უკამათოდ ამტკიცებს ორ კანონ-პროექტს, პირველს შესახებ საკანცელარიო დაწესებულებებში საბაჟო გადასახადთა გადიდების შესახებ, თანახმად **დ. შარაშიძის** (ს.-დ.) მოხსენებისა და მეორე: მტკიცდება საგარეო საქმეთა სამინისტროს საკანცელარიო ხარჯები, თანახმად დ. ონიაშვილის (ს.-დ.) მოხსენებისა.

სასომხეთის საბჭოს წერილი.

პარლამენტის მდივანი დ. ონიაშვილი კითხულობს სასომხეთის საბჭოს წერილს საქართველოს პარლამენტისადმი, რომელშიაც იგი მწუხარებას გამოსთქვამს მომხდარ უთანხმოების გამო დ იმედოვნებს, რომ მომავალში ვერავითარი ძალა ვერ შეარყევს საქართველოსა და სომხეთის ისტორიულ მეგობრობას. პარლამენტი ტაშის ცემით ისმენს ამ წერილს და ავალებს პრეზიდიუმს საპასუხო წერილით მიმართოს სასომხეთის საბჭოს.

მთავრობის წრეებში

საჩხერის ცეცხლის გამო შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით, თანახმად პარლამენტში შეტანილ შეკითხვისა, შორაპნის მაზრის კომისარს პირდაპირი მავთულით მოსთხოვეს შემდეგი ცნობების წარმოდგენა: 1) რამდენი სახლი კერძო ან საზოგადო დაწესებულებათა ან რამოდენი დუქანი დაიწვა. 2) რამდენია დაახლოვებით ზარალი და რაში გამოიხატება, 3) ვინაობა დაზარალებულთა და მათი ეხლანდელი მდგომარეობა, დარჩათ რამე მათ თუ არა. თუ თავიანთი ჭერი არ დარჩენიათ, სად არიან მოთავსებულნი, 4) რაიმე მატერიალური დახმარება ვისმესგან და ან რაიმე წყაროდან აღმოუჩნდათ თუ არა, 5) დაარსდა რაიმე ადგილობრივი კომიტეტი დახმარების აღმოსაჩენათ თუ არა. აგროვებენ რაიმე მათთვის შესაწევრს თუ არა—ფულით და ჰინახულით. ყველა ამ კითხვაზე შორაპნის კომისარმა 30 ოქტომბერს ნაშუადღევის 7 საათზე შემდეგი პასუხი გადმოცა შინაგან საქმეთა მინისტრის წარმომად.: „დანამდვილებით ცნობების გამოსაკვლევად საგანგებოდ კაცი არის გაგზავნილი, რომელიც იკვლევს დაწვრილებით ამბავს. რაც შეეხება დამხმარე კომიტეტს, უკვე დაარსდა ადგილობრივად და შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას. როდესაც მომივა ცნობები დაწვრილებით მოგცემთ შესახებ პასუხს, რომ შეცდომაში არ შეგიყვანოთ“.

ევგენი გეგეჭკორი - საგარეო საქმეთა მინისტრი

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრათ დაინიშნა ყოფილი ამიერ კავკასიის რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე და სტამბოლის კონფერენციის საქართველოს დელეგაციის თავმჯდომარის მოადგილე, პარლამენტის წევრი ევგენი გეგეჭკორი.

ქრონიკა

ბაქოს რუსთა ეროვნულმა კომიტეტმა აცნობა ადერბეიჯანის მთავრობას, რომ ბაქოში მცხოვრებ რუსთაგან ბევრს სურს ბაქოდან გასვლა და სთხოვა ამასთანავე ნება დაერთო მათი ქალაქიდან წასვლა. ადერბეიჯანის მთავრობამ უპასუხა, რომ ერთბაშად მათი გაგზავნა მხოლოდ 10 დღის შემდეგ შეიძლებოდა. 10 დღე უკვე გავიდა. ბაქოს რუსთა ეროვნულმა კომიტეტმა გაიმეორა თავის შუამდგომლობა და თან სთხოვა ადერბეიჯანის მთავრობას, რადგანაც ბევრი რუსთაგანი ბაქოს ალების დროს დააობლეს და არავითარი სახსარი არ მოეპოვებათ, სრულიად შეუძლონი უფასოდ გადაიყვანონ რკინის გზით, ხოლო ხელმოკლებზე კი იაფ ტარიფით. ბაქოს რუსთა ეროვნულმა კომიტეტმა სთხოვა საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენელს ბაქოში, ქარცივაძეს, ასეთსავე პირობებში გადაიყვანონ ბაქოდან რუსეთში მიმავალი რუსები საქართველოს რკინის გზებზე, ნება დართონ მათ, გადაუჯდომლად, პირდაპირ გაემგზავრონ ფოთში და გაუადვილონ უკანასკნელს ნავთსადგურში გემებზე გადასხდა.

ადერბეიჯანის რესპუბლიკის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა—ჯაფაროვმა მირზა-შერიფ-მირზაევს დაავალა მიიღოს ყოფილ მეფის მოადგილის კანცელარიის არქივიდან საქმეები მაჰმადიან სამღვდელოებისა და სახალხო განათლების შესახებ, აგრეთვე ადერბეიჯანის რესპუბლიკის ოლქების შესახებ საქმეები ხსენებულ კანცელარიის განსაკუთრებულ განყოფილებიდან და ყოფილ თბილისის ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტიდან.

გაგრის ქალაქის თავმა დეპეშით შუამდგომლობა აღძრა გზათა მიმოსვლის სამინისტროს წინაშე, რათა აღდგენილ იქნეს და დასრულდეს გაგრის ორივე ნაწილის შორის ცხენის რკინის გზის გაკეთება. ქალაქის ორი ნაწილი 5 ვერსითაა ერთიმეორეზე დაშორებული. 3 ვერსით გზა უკვე გაყვანილია. გასაყვანია კიდევ 2 ვერსი. ქალაქის თავი დეპეშაში აღნიშნავს ხსენებულ რკინის გზის უაღრეს მნიშვნელობას ქალაქისა და მცხოვრებთათვის.

სომხეთის ქვეშევრდომნი და მიწის დეკრეტები. სომხეთის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა ჯამალიანმა ამას წინად შეეკითხა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს, ვრცელდება თუ არა კერძო მესაკუთრეთათვის ქონების ჩამორთმევის კანონი საქართველოში მცხოვრებ სომხეთის ქვეშევრდომებზე. ეს შეკითხვა განსახილველად გადაეცა მიწად მოქმედების მინისტრს. ეხლა ჯამალიანმა სთხოვა საგარეო საქმეთა მინისტრს რომ საკითხის გამორკვევამდე შეჩერებულ იქნეს სომხეთის ქვეშევრდომების მამულების ჩამორთმევა.

ბაქო

ადერბეიჯანის მთავრობის ოფიციოზში ცნობაა მოთავსებული, თითქოს ბაქოში ჩასულან ბიჩერახოვის რაზმის წარმომადგენლები ქალაქის გამგეობასან მოსალაპარაკებლად. ამ ცნობის შესახებ ჩვენი გაზეთის თანამშრომელი შეეკითხა გერმანულ დელეგაციას, მაგრამ მას ამის შესახებ არავითარი ინფორმაცია არა ჰქონია, ხოლო მოსულია ცნობა, რომ ბაქოში მყოფი გერმანელი დელეგაცია თბილისში წამოსულა, რადგან შესაძლებელია ბიჩერახოვის თავდასხმა.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტოს).

ომი

დასავლეთის ასპარეზი

ბერლინი. 3 გიორგობისთვე. სამხედრო ცნობა. კრონპრინც რუპრეხტის ლაშქარი. ფლანდრიაში ლისზე მდგარი ჩვენი ჯარები უკან დავსწიეთ და შელდაზე გენტისკენ ჩვენს ასპარეზს გაუსწორეთ. აქ გუშინ ბრძოლა არ ყოფილა. უდენარდის ჩრდილო-აღმოსავლეთით და ტურნესთან მტრის პატარა იერიშები მოვიგერიეთ. ვალანსიენთან და მის ქვემოდ გუშინ ინგლისელები მძლავრ იერიშებს განაგრძობდენ. წინა ბრძოლაში მტერმა სალტანესკენ დაგვახევინა და ბრეზოში გამაგრდა. ვილერპოლზე მოტანილი მტრის რამდენიმე იერიში მოვიგერიეთ. ვალანსიენთან მტრის ახალი იერიშებიც მოვიგერიეთ.

გერმანიის კრონპრინცის და ჰალვიცის ლაშქრები: გიზის დასავლეთით მტრის იერიში მოვიგერიეთ. მას შემდეგ რაც ფრანგები პირველ გიორგობისთვეს ენის ასპარეზზე დამარცხდნენ ძლიერი იერიში აღარ განუახლებიათ. მხოლოდ ბენონის აღმოსავლეთით ნეიელ-ე-დეისთან და ტერონნახთან მცირე იერიშები მოიტანეს, რომელიც ზოგან კონტრ-იერიშებით უკუვაქციეთ. ინგლისელებმა მაასის დასავლეთის მხარეზე შემოტევით მდ. ენსა და შამპინონს შუა უკან დაგვახევინეს. კარტ-ვამპის და უზნსის ხაზზე გუშინ მოწინავე რაზმების ბრძოლა იყო. მტერმა ტეილთან და ზა-ველერ დ' ევანდენთან ჩვენი ტერიტორია დაიჭირა. დანარჩენ ადგილას მტერი უკუვაგდეთ. მოზელის დასავლეთით მოწინავე სადარაჯოების ბრძოლაა.

ბერლინი, 3 გიორგ. საღამოს სამხედრო ცნობა. ჩვენი ახალი ხაზების წინ ენსა და მაასის შუა მოწინავე სადარაჯოების ბრძოლაა. დანარჩენ ასპარეზზე შესანიშნავი არა მომხდარა რა.

პარიზი. 3 გიორგ. სამხედრო ცნობა. მკაცრი ბრძოლა, რომელიც საფრანგეთის მე-4 ლაშქრის ამერიკის ლაშქართან ერთად წარმოებდა, მათი სრული გამარჯვებით დასრულდა, გერმანელებმა, რომელნიც მედგრად იცავდნენ ენის გასავლელს და მაღლობებს... (გაუგებარია) სადაც ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები დახვდათ თავის დასაცავად, მაგრამ მათი წინააღმდეგობა გამარჯვებულმა ფრანგებმა სძლიეს. მკაცრი ბრძოლის დროს, ასპარეზის გარღვევის შემდეგ ფრანგებმა აიღეს სოფლები: ტოჟი, ბელლევილი, კატრ-შამპი. ნუარვალი, ალლე და შატოლიონ-სიურ-ბარი. საფრანგეთის ჯარი ამის შემდეგ გაემართა ჩრდილოეთისკენ და დაიპყრო ვონკის და შესნის ტყეები. ფრანგების შესაკავებლად დატოვებული გერმანელთა არიერგარდები ყველგან გავაქციეთ- არგონების გაწმენდა უკვე მომხდარი ფაქტია. ტყვეების რიცხვი და დავლის რაოდენობა ჯერ გამორკვეული არაა.

მოსკოვი, 3 გიორგ. ც. ა. კ. პრეს-ბიუროს ბიულეტენი 2 გიორგ. სამხედრო ცნობა.

ბალაშოვო-კამეშინსკის მხრებზე. კრასნოიარსკის მიმართულებით, პირველ გიორგობისთვეს ჩვენმა ჯარმა შემოსულ მტრის რაზმების წინააღმდეგ მოულოდნელი იერიში მიიტანა. ორჯელ დაამარცხა მტერი და სამხრეთით ოცი ვერსის მანძილზე ჯავშნიანი ავტომობილების და ცხენოსან რაზმის დახმარებით დაედევნენ. აქ მტერმა დაჰკარგა 1000 კაცი. ხელთ ვიგდეთ ლაშქრის შტაბი, თოფები და სხვა სამხედრო მასალები.

ავსტრიის დაშლა

ბერლინი. 2 ნოემ. ბუდაპეშტის რევოლიუციის შესახებ შემდეგს იტყობინებიან: „ოთხშაბათს, საღამოთი დემონსტრანტებს ჯარი შეუერთდა, ჯარის კაცები გლეჯდნენ კაკარდებს და სხვებთან ერთად გაიძახოდნენ „გაუმარჯოს რესპუბლიკასო". შუა ღამის რევოლიუციონურმა რაზმებმა აღმოსავლეთის ვოგზალი დაიპყრეს. ასპარეზზე მიმავალი 2 მატარებელი ჯარი გააჩერეს და არ გაუშვეს. ეს ჯარი რევოლიუციონერებს შეუერთდა. ბევრმა კერძო პირმა იარაღი შეიძინა. აჯანყებულთ აქვთ ტყვიისმტყორცნელები, დიდძალი ამუნიცია და ყოველგვარი იარაღი. ჰუნგრეთის იარაღის ქარხანა სრულიად გასძარცვეს. შუა ღამისას ცნობა მოვიდა, რომ ბუდაპეშტის მე-32 პოლკი მთავრობას გადაუდგა და რესპუბლიკის მხარეზე გადავიდა.

ვენა. 2 ნოემბ. ჯარი ღელავს. პარლამენტის წინ ყოველ დღე იმართება ბოლშევიკურ ხასიათის მიტინგები. დეპუტატებმა ვერ შესძლეს მათი დაჯერება (?).

ბერლინი. 2 ნოემ. გუშინ ბუდაპეშტში ჯარისკაცებმა გრაფი სტეფანე ტისსა მოჰკლეს. ვენიდან იტყობინებიან, რომ იქ შესდგა ჯარისკაცთა დროებითი საბჭო, რომელთანაც 12 კომისია მუშაობს. ყაზარმებში დელეგატები გაგზავნეს, რათა ჯარისკაცები აიძულონ და ეროვნულ საბჭოს ერთგულებაზე დაფიცონ. ჯარისკაცები ფარული კენჭის ყრით ჯარისკაცთა საბჭოებს ირჩევენ.

ვენის ჯარისკაცთა საბჭოში 200 კაცი იქნება. ვენის მაგალითით გერმანულ ავსტრიის სხვა ქალაქებშიც ირჩევენ ჯარისკაცთა საბჭოებს.

ვენა, 2 გიორგ. ავსტრია-ჰუნგრეთის სამხედრო ფლოტი მოკავშირეების მიერ ხელში ჩაგდების შიშით სამხრეთის სლოვიანთა ეროვნულ საბჭოებს გადაეცა. ვენაში ეშინიათ, რომ მოკავშირეებმა დროებითი ზავის ჩამოგდების შემდეგ ვენა არ დაიპყრონ. მინისტრ-პრეზიდენტმა ლამაშმა გერმანელ ავსტრიის მთავრობის ფუნქციები სავსებით სახელმწიფო საბჭოს გადასცა.

ვენა, 2 გიორგ. ვენაში დემონსტრაციებს წინანდელ ბურჟუაზიულ ხასიათის მაგივრათ, რევოლიუციონურ ხასიათს ღებულობს. ქუჩებში მუშები მრავლად დადიან ჯგუფ-ჯგუფად და დააქვთ დროშები წარწერით: „გაუმარჯოს სოციალ-დემოკრატიულ რესპუბლიკას" და პლაკატების წარწერით:" მოვითხოვთ ადლერის განთავისუფლებას". მუშებს უკან მისდევენ: ჯარისკაცები, ინვალიდები და აგრეთვე რკინის გზის მუშები. იარაღის ქარხანაში გაფიცვაა. სასახლის კარები დაკეტილია და პოლიცია იცავს.

კორესპონდენტი ვილჰელმსი იტყობინება: წუხელი ტრიუმფირატის დარბაზში შესდგა ჯარის კაცთა საბჭოს სხდომა, რომელიც შუადღის შემდეგ პარლამენტში იქმნა არჩეული. სხდომა სიწყნარით ჩატარდა. ამის შემდეგ ჯარის კაცთა და აფიცერთა კორტეჟი გაემართა სამხედრო სამინისტროსკენ და შემდეგ ფრანც-იოსების ქუჩით, მდინარის პირზე: კორტეჟს გზაში დიდძალი ხალხი შეუერთდა და სხვათა შორის საეჭვო ელემენტებიც. „ფრანც-იოსების" ქუჩაზე ზოგან სახლების ფანჯრები ჩამტვრეულია. დაატუსაღეს ის აფიცრები, რომელთაც კაკარდები არ ქონდათ. ამის შემდეგ ბრბო როზაუერის ყაზარმებისკენ გაემართა პატიმართა გასანთავისუფლებლათ. აქ ძლიერი ჭყრაული იდგა: რამდენიმე სროლის შემდეგ ბრბო გაიფანტა. საღამოს 9 საათის შემდეგ სიწყნარე აღდგენილ იქმნა.

ტისას მოკვლა.

გრაფი ტისსა ნათესავ ქალთან სეირნობის დროს ჯარისკაცებმა რევოლვერით მოჰკლეს. თანამგზავრი ქალი მძიმეთ დაიჭრა.

კარლოსის ახალი სამინისტრო საბოლოოდ შესდგა. საგარეო საქმეთა მინისტრათ გრაფი თედორ ბატიანი დანიშნა.

პროვინციის ქალაქები და ბუდაპეშტი დროშებით მორთეს.

შტაბის უმფროსი ოფიციალურად იუწყება: მთავარ-სარდალმა მოლაპარაკება გამართა პარლამენტის საშუალებით, იტალიის მთავარსარდალთან 30 ოქტ. საღამოს შესძლეს იტალიის მთავარ-სარდალთან მორიგება. გენერალ ფონ-ვებერი დელეგაციის თანადასწრებით გადვიდა სამხედრო ზონაზე მოლაპარაკების გასამართავად.

ბერლინი. 2 გიორგ. მთავრობის სოციალისტები მოითხოვენ გერმანიის იმპერატორის გადადგომას. გერმანელ ბურჟუაზიის შორის პანიკაა. ბურჟუაზიას ბანკებიდან და შემნახველ კასებიდან ფული გამოაქვთ და თვითონ ინახავს. ფულის ნიშნების უქონლობის გამო, საფოსტო განყოფილებანი მხოლოდ ნაწილს იძლევიან. დიდ ქალაქებში ქაღალდის ფულებს უშვებენ. გერმანიის მთავრობამ გადასწყვიტა ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლა. სამხედრო კაბინეტმა უკანასკნელ სხდომაზე მსჯელობა იქონია ბოლშევიკების აგიტაციის შესახებ. კაბინეტმა შესაფერი გადაწყვეტილება მიიღო.

ვენიდან იტყობინებიან: დღეს დილით, ჯერ კიდევ გამოურკვეველი მიზეზის გამო, სამხრეთ-სლოვიანების ნაციონალურ საბჭოზე ფლოტის გადაცემის შემდეგ, იტალიის რამოდენიმე საზღვაო ოფიცერი შევიდა პოლის ნავთსადგურში, დასდეს ნაღმი სამხედრო გემი „ვირიბუს-უნიტზე" და ჩაძირეს. უმეტესობა შტაბისა და კომანდისა გადარჩა.

ბუდაპეშტში ახლად შემდგარმა კაბინეტმა მოითხოვა მეფისაგან გაუქმებია ფიცი ერთგულების შესახებ მიღებული. თხოვნა დააკმაყოფილეს.

მინისტრთა საბჭომ ითათბირა იმაზე, რომ უნგრეთი გამოაცხადონ სამეფოდ, თუ რესპუბლიკათ. გადაწყვეტილია, რომ ამ საკითხს საბოლოოდ მთელი ხალხის რეფერენდუმი გადასწყვეტს. ახალმა კაბინეტმა ნაციონალურ საბჭოს ერთგულებაზე ფიცი დასდო. ფიცის მიღება დიდის ზეიმით და მანიფესტაციით ჩატარდა.

ბუდაპეშტი. უნგრეთის ნაციონალური საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი გრაფ კაროლიის ატყობინებს, რომ მთავრობა მეფის წინაშე მიღებულ ფიცისგან თავისუფალია და თავის პროგრამაში მას შეაქვს სახელმწიფოს მართვა-გამგეობის ფორმის საკითხი, მომავალ ჰუნგრეთში რესპუბლიკა იქმნება თუ მონარქია.

გრაცი. სახელმწიფო საბჭოს დეპუტატი ეისპინერი ვენის სახელმწიფო საბჭოს დავალებით ავსტრია-ჰუნგრეთის სამხედრო უფლების მისაღებათ და ჯარის ერთგულებაში დასაფიცებლად გრაცში ჩამოვიდა.

სამხედრო კომენდანტმა ავსტრია-უნგრეთის კონსტიტუციის ერთგულებაზე ფიცი მიიღო.

ტრიესტი. საზოგადო კეთილ დროების კომიტეტმა, რომელშიაც იტალიურ და სლავიანურ წარმომადგენლები შედიან, ქალაქის მართვა-გამგეობის და წესიერების დაცვის საქმეები გუშინ ჩაიბარა. მეფის მოადგილემ და პოლიციის უფროსმა პრეზიდენთან ერთად ქალაქი მიატოვეს და მომავალში თავის მოვალეობას გრაზში შეასრულებენ.

ტრიესტში იტალიის ლიბერალებმა და იტალიის სოციალისტებმა საზეიმო პროცესია მოაწყვეს; მათ დემონსტრაცია გამართეს იტალიურ ქალაქ ტრიესტის დამოუკიდებლობისათვის და სამხრეთის სლოვიანების მიერ ტრიესტზე თავის პრეტენზიების წინააღმდეგ. პროცესია მოაწყვეს აგრეთვე სლავიანებმა. ამ ორ ჯგუფს შეტაკება მოუვიდა.

ვენის გაზეთებს ვიემედამ ატყობინებენ: „ადგილობრივი იტალიელების სამხრეთ სლავიანთა ძალა-უფლებას ვიუმენში არ სცნობენ. მათი თხოვნით იტალიის ელჩი ვიუმენში შემოვიდა. ნავთსადგურში მყოფი ყველა გემები ამერიკისა და იტალიის დროშებს მიესალმნენ.

პრაგიდან გაზეთებს ატყობინებენ: ჩეხელთა ეროვნულმა საბჭომ სურსათსანოვაგის და ტანისამოსის გაზიდვა აღკრძალა. ჩეხელები აცხადებენ, რომ ეს ზომა ჰუნგრეთის წინააღმდეგაა მიმართული.

ვენის გამგეობის ცნობით მალიკი და მისი ამხანაგები ეროვნულ ყრილობის უახლოეს სხდომაზე შემდეგი წინადადებას შეიტანენ: „ავსტრიის ყოფილ იმპერატორ კარლოსის მიერ მინისტრად უკანონოდ დანიშნული და მთავრობიდან გასული გრაფი ანდრაში, როგორც უცხოელი, რომელიც არ უნდა დარჩეს სახელმწიფოში, დაუყოვნებლივ უნდა განიდევნოს ავსტრია-უნგრეთიდან.

დააპატიმრეს ტრიესტში მეფეს მოადგილედ ნამყოფი, ბარონი ფურიესკენი, რომელიც ავტომობილით ლებეკზე მიემგზავრებოდა, და აგრეთვე მეფის უმაღლესი მოხელენი.

ტფ. მუშათა და ჯარის კაცთა საბჭო

შაბათს, ორს ნოემბერს სახალხო სახლში, საღამოს 8 საათზე, მოხდა თბილისის მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოს კრება. მთელი დარბაზი ხალხით იყო გაჭედილი. წინა—ხუთი-ექვსი რიგის სკამები თვით საბჭოს წევრებს ეჭირა. სრულ რვა საათზე შემოვიდა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე, ბ-ნი ნ. ჟორდანია, რომელიც ჯერ კიდევ ატარებს ყოფილ ამიერ-კავკასიის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობას, ამ შემთხვევაში თფილისის მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოს სამოქმედო ასპარეზის ფარგლებში. ბ. ჟორდანიას თან ახლდა ბ.ბ. ირ. წერეთელი და ევ. გეგეჭკორი. საზოგადოება მათ დიდის ტაშით შეეგება. კრება გახსნა თავმჯდომარე ჟორდანიამ. მოკლე სიტყვაში აღნიშნა რომ როგორც საერთაშორისო მდგომარეობაშიო აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის ცხოვრებაშიც დიდი ცვლილება მოხდა მას შემდეგ, რაც ტფ. მუშათა და ჯ. საბჭოს თავისი უკანასკნელი კრება ჰქონდა, დღეს სწორედ ამ ცვლილებებზე გვექნება მოხსენება საბჭოს წევრთა წინაშე. ჩვენი მტრები დარწმუნდებიან, რომ წინააღმდეგ მათ ყოველდღიური ნიშნის მოგებისა საბჭო ცოცხალია და მოქმედებს და რომ იგი იარსებებს, სანამ საბჭოს დანიშნულება სრულ გამარჯვებამდე არ მივაო. ტფ. მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოს თავმჯდომარემ ბ. ჟორდანიამ თავისი სიტყვა ასე დაამთავრა: საბჭომ თვალყური უნდა ადევნოს ყველა იმ ორგანოს, რომელთაც თავისი ფუნქციები გადასცა, რათა ამ ორგანოებმა იმ გზას არ გადაუხვიონ, რომელიც საბჭოს აქვს არჩეული თავის მიზნების მისაღწევადო. თავმჯდომარის სიტყვამ დარბაზში, როგორც მოსალოდნელი იყო, მხურვალე ტაში გამოიწვია. თავმჯდომარის წინადადებაზე იქნება ვინმეს ჰქონდეს დღიურ წესრიგში შესატანი საკითხი, მეტალისტ მუშების წარმომადგენელმა ტომით რუსმა წამოაყენა საბჭოს ორგანიზაციის საკითხი, რომელიც დღიურ წესრიგში იქნა შეტანილი.

ამის შემდეგ სიტყვა მიეცა ბ-ნ მომხსენებელს ირაკლი წერეთელს. თავის გრძელ სიტყვაში ბ-ნმა წერეთელმა აღნიშნა სხვა და სხვა ეტაპები საერთაშორისო მდგომარეობაში ომის დაწყებიდან, შეჩერდა ხანგრძლივათ რუსეთსა და ევროპაში ომითა და რევოლიუციით შექმნილ მდგომარეობაზე. მომხსენებელი ამავე დროს ახასიათებს საქართველოს მდგომარეობას, მის საგარეო პოლიტიკასა, ტაქტიკას საერთაშორისო მდგომარეობის ამა თუ იმ ვითარების დროს. იმ ნაწილში, რომელიც საქართველო-გერმანიის ურთიერთობას შეეხებოდა, მომხსენებელმა ენერგიულად ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ გერმანიის შემოსვლა და მისი ყოფნა საქართველოში იყო და არის ერთი ძლიერი ფაქტორი საქართველოს დამოუკიდებლობისა და რომ გერმანიის მოშველებამ გადაარჩინა ჩვენი ქვეყანა ოსმალთაგან აწიოკება-განადგურებას და შინაურ ანარქიასო. თამამის მადლობის გრძნობით მიესალმა ბ-ნი მომხსენებელი გერმანიას მის ასეთ ორგანიულ, სახელმწიფოებრივ თანამშრომლობისთვის საქართველოს მთავრობასთან ერთად, საქართველოს დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად და კიდევ მეტი მეგობრობისა და სოლიდარობის ჩამოგდება დაინახა შესაძლოთ დღევანდელ დემოკრატიულ გერმანიასთან. კერძოდ საქართველოს შესახებ, მომხსენებელმა აღნიშნა, იმ საერთაშორისო კონიუქტურაში, რომელშიაც იგი სცხოვრობდა, საქართველოს სხვა გზით სიარული არ შეეძლო. მან აირჩია ის ერთად ერთი გზა, რომელიც დარჩენოდაო. საქართველოს ორიენტაციის შესახებ ირ. წერეთელმა სთქვა: საქართველოს ერთად ერთი ორიენტაცია აქვსო, ეს არის ქართული ორიენტაცია და საქართველოს დამოუკიდებლობა და ამის განსამტკიცებლად იგი ადგება დღეს ერთ ორიენტაციას, ორიენტაციას საერთაშორისო დემოკრატიისაკენო.

ბ-ნ წერეთლის სიტყვის დასასრულს დამსწრე საზოგადოება დიდი ტაშით შეეგება.

გაიმართა კამათი მოხსენების შესახებ. კამათში მონაწილეობა მიიღო: სოციალისტ-რევოლიუციონერებმა ბულგაკოვმა და თარხანოვმა და დამოუკიდებელმა ესერმა ჩემოდანოვმა. ბ-ნი ბულგაკოვი და თარხანოვი თავიანთ სიტყვებში ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, საქართველო რუსეთის ფერხულში უნდა ჩაებას და რუსეთს შეუსხეულდეს ფედერატიულ ნიადაგზე. ბ-ნი ჩემოდანოვი თავის სიტყვაში ამტკიცებდა, საქართველოს სხვანაირად მოქმედება არ შეეძლოო. დღეს მისი სახე გამორკვეულია, იგი დამოუკიდებლობის გზას ადგია, მისი ორიენტაცია, ეს არის საქართველოს დამოუკიდებლობის ორიენტაცია და მე დარწმუნებული ვარ, თუ მართლაც და დემოკრატიული რუსეთი აღსდგა, იგი თავისთან ფედერაციაში შემოსვლას საქართველოს არ დააძალებსო. შემდეგ გამოვიდა მეტალურ მუშების წარმომადგენელი, რომელმაც მოითხოვა მუშათა საბჭოს ორგანიზაციის აღდგენა. აღნიშნა რომ ამ ორგანიზაციის შესუსტებამ სხვა და სხვა ერების მუშათა შორის უთანხმოების და შუღლის წარმოშობის ნიადაგი შეუმზადა და მწუხარებით აღნიშნავდა დღეს ამგვარი განხეთქილების არსებობას. აქ რასაკვირველია, მიზეზი იყო გამოსაძებნი და ამის მიზეზად ეროვნულ-დემოკრატები გამოიყვანა და მათ ზურგზედ გაინავარდა.

ბ-ნმა ევ. გეგეჭკორმა თავის მოკლე თარხანოვისადმი მიმართულ სიტყვაში არ დაივიწყა მეტალისტ-მუშის მიერ ნახსენები კაცთ-მოძულე ეროვნულ-დემოკრატები და სთქვა, ჩვენ ერთმანეთში გასაყოფი არაფერი გვაქვს და უნდა შევერთდეთ ამ კაცთ-მოძულე ნაციონალ-დემოკრატის წინააღმდეგო.

უკანასკნელი სიტყვა მიეცა ბ-ნ მომხსენებელს. მან მუხლ-მუხლად გაარჩია მოწინააღმდეგის დებულებანი, რომელნიც დიდის ხერხითა და საბუთებით დაარღვია, ამხილა მათი ინტრიგები და მოღალატური საქმიანობა საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. წერეთლის სიტყვამ მხურვალე ტაში მიიღო.

დასასრულ გამოტანილ იქმნა შემდეგი რეზოლიუცია:

ა) მსოფლიო ომის დასასრული მოითხოვს დემოკრატიის და კერძოდ მშრომელთა კლასის მიერ ძალთა ამოძრავებას, რათა დამყარებულ იქმნას საერთო დემოკრატიული ზავი ხალხთა შეთანხმების საფუძველზე, და დადგენილ იყოს თანასწორობა ერთა შორის.

3) საერთაშორისო მდგომარეობის შეცვლით საქართველოს რესპუბლიკას, რომელმაც დღემდე შეინარჩუნა რევოლიუციის მონაპოვარი, მოელის დიადი საფრთხე, ამისთვის ქართველ დემოკრატიას ჰმართებს მეტი სიფხიზლე და ძალთა გაერთიანება თავისი დამოუკიდებლობისა და თავისუფლების დასაცავად.

გ) სათავე უდიდეს საფრთხისა არის ამიერ-კავკასიის ერთა შორის ჩამოვარდნილი უთანხმოება. საბჭო მიესალმება საქართველოს მიერ გადადგმულ ნაბიჯებს ამ უთანხმოების მოსასპობად.

დ) საქართველოზე შეგროვილ ღრუბლების გამო, მისი მტრები აბამენ ათას ქსელს; ჰმართვენ შეთქმულებისა და სხ., დემოკრატიის ვალია—ყოველგვარი დახმარება ხელმოუჩინოს მთავრობას მათ საწინააღმდეგო ბრძოლაში.

ე) თავის იმედებს სამართლიანობისა და ერთა შორის დამოკიდებლობის დასამყარებლად საბჭო ამყარებს ინტერნაციონალზე, დემოკრატიისა და უფრო კი ამიერ-კავკასიის სოციალისტურ ელემენტების გაერთიანებაზე.

ხალხი დაიშალა ღამ. 12 ს.

უცხოეთის ამბები

დენიკინის მოხალისეთა ჯარი

თბილისში არა ოფიციალური ცნობებია მოსული, რომ ღენერალ ალექსეევის მოხალისეთა ჯარი, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ ღენერალ დენიკინის მეთაურობით მოქმედებდა დაშლილა, რადგან ყაზახობა, რომელიც ამ ჯარის უმეტეს ნაწილს შეადგენდა დენიკინისგან გადამდგარა. ყაზახობას განუცხადებია, რომ მათი მიზანი იყო ყუბანის განწმენდა ბოლშევიკებისაგან, რაც ამ ჟამად სავსებით მიღწეულია და სხვა სახელმწიფოთა საწინააღმდეგო მათ არაფერი არ აქვთ, რომ დენიკინს სამრად გაყვენ. ღენერალ დენიკინის მეთაურობით ქვემო მყოფად ორი პოლკი დარჩენილა, რომელიც მხოლოდ მოხალისე ოფიცრებისაგან შესდგება.

უთანხმოება პოლონეთსა და უკრაინას შორის

გერმანელ დელეგაციას თბილისში ცნობა მოუვიდა, რომ გალიციის ქალაქ ლვოვში უკრაინის ეროვნულ საბჭო შესდგა, რომლის მიზანია აღმოსავლეთის უკრაინა სანის მდინარემდე უკრაინას შეუერთოს.

გალიციაში სერიოზული ბრძოლაა ამ საბჭოს ჯარისა და პოლონელთა შორის.

სამხედრო კოალიციის საკითხი.

ატამანმა კრასნოვმა დონის მთავრობას განუცხადა, რომ გეტმანმა მას წინადადება მისცა სამხედრო კავშირის შესაკრავად დონის ლაშქრის გასაძლიერებლად ბოლშევიკების წინააღმდეგ. კრასნოვმა გენ. ივანოვი ეკატერინოდარში გაგზავნა რათა იქ ამის შესახებ მოელაპარაკოს მოხალისეთა ლაშქარს. იტყობინებიან აგრეთვე რომ სარდლობა გადაეცემა გენ. დაშკინს.

ოსმალეთის მდგომარეობა

როგორც გერმანელი დელეგაცია თბილისში იუწყება ოსმალეთსა და შეთანხმების სახელმწიფოთა შორის ჯერ საზავო მოლაპარაკება არ დამთავრებულა და მათი ჯარები ჯერ სტამბოლში არ შესულან.

გერმანელ დელეგაციამ რადიოსადგურ „ოსმანიადან" გუშინაც მიიღო დეპეშები, საიდანაც სჩანს, რომ გერმანიის საელჩო ჯერ კიდევ სტამბოლში იმყოფება.

შეიდემანი იმპერატორ ვილჰელმის შესახებ

გერმანელ დელეგაციაში ჩვენს გაზეთის თანამშრომელს უთხრეს, რომ სტატს სეკრეტარს შეიდემანს თავისი პარტიის სახელით რეიჰს-კანცლერისათვის გადუცია მემორანდუმი, რომელშიაც იგი საჭიროდ სთვლის იმპერატორ ვილჰელმის ტახტიდან გადადგომას.

ტროცკის ამნისტია.

ტროცკი ერთს მოწოდებაში პატიებას ჰპირდება და უფლებას იძლევა იცხოვრონ როგორც თავისუფალ მოქალაქეთ ყველა იმ ჩეხო-სლოვაკებს, რომელნიც თავიანთი ნებით დანებდებიან.

ავსტრო-უნგრეთში

დეპეშებში ცნობა იყო, თითქოს ავსტრიის იმპერატორი კარლოსი, ავსტრიის იმპერიისაგან არც ერთს ახლად შემდგარ სახელმწიფოს არ ეცნოს. გერმანელ დელეგაციას თბილისში, ცნობა აქვს მიღებული, რომ ანდრაშის სამსახურიდან გადადგომის თხოვნა კარლოს არ უცვნია, საიდანაც სჩანს, რომ მისი ძალა-უფლება ჯერ კიდევ დაცულია.

გერმანელ ავსტრიაში კარლოსის ხელმწიფობა სავსებით ცნობილია.

ჰერცოგმა იოსებმა თავისი მემკვიდრესთან ერთად ვენგრიის სახალხო საბჭოს ერთგულება შეჰფიცეს.

დამფუძნებელი კრების წევრნი კანონის გარეშე.

მოსკოვიდან იტყობინებიან, რომ განსაკუთრებული კომისიის განკარგულებით დამფუძნებელი კრების ყველა წევრები პარტიის და მიმართულების განურჩევლად, გამოცხადებულნი არიან კანონს გარეშე, ყველა ესენი დატყვევებულნი უნდა იქნენ და კონცენტრაციონურ ბანაკში გაიგზავნონ.

ინგლისის გაზეთები გერმანიის საომარ მოქმედების შესახებ

ინგლისურ გაზეთების უკანასკნელ №№-ში, რომელიც გერმანელმა დელეგაციამ მიიღო თბილისში სწერია, რომ ვილჰელმის მისვლამ გერმანიის მთავარ-ბანაკში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა გერმანელ მხედრობაზედ და დიდი მორალური გავლენა იქონია მაზედ. ამ ჟამად გერმანიის ჯარის ძალა ისე გაიზარდა—ნათქვამია ამ გაზეთებში, რომ ჩვენი ჯარების სასტიკმა შეტევამ, უკანასკნელ ხანებში დიდ შედეგებს ვერ მიაღწიესო.

საკათალიკოსოს ხარჯთ-აღრიცხვა

სახელმწიფო კონტროლიორმა წარუდგინა მთავრობას საქართველოს საკათალიკოსო საბჭოს ხარჯთ-აღრიცხვა საქართველოს მღვდლების, ეკლესიათა და სასულიერო დაწესებულებათა შესანახად, რომელიც კონტროლიორს ჰქონდა გადაცემული დასკვნის გასაკეთებლად. ხარჯთ-აღრიცხვა უდრის 10,744,500 მანეთს წელიწადში. აქედან 9,137,400 მ. ითხოვენ სამღვდელოებისათვის ასეთ განაწილებით: მღვდელს თვეში 300 მ., დიაკვნებს 250 მ., მედავითნეს 200 მან., ეკლესიათა შესანახად 486,200 მან. ნავარაუდევი. დანარჩენი 1,120,900 მ. თხოულობენ საკათალიკოსოს დაწესებულებათა შესანახად. სახელმწიფო კონტროლიორი თავის დასკვნაში აღნიშნავს, რომ, ვინაიდან ჯერჯერობით გამოცემული არ არის კანონი—ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის შესახებ და ძველი კანონები გადაიშინჯება, ხოლო სასულიერო საეკლესიო დაწესებულებანი ჯერ კიდევ ასრულებენ ზოგიერთ სახელმწიფო ფუნქციებს (მეტრიკული წიგნის წარმოება და სხ.) სახელმწიფომ მათ დახმარება უნდა გაუწიოს, მაგრამ არა იმდენი, რამდენსაც თხოულობენ. სახელმწიფო კონტროლიორს მოყავს თავისი მოსაზრებანი და წინადადება რამდენად უნდა შემცირებულ იქნას ხარჯთ-აღრიცხვა. ამ შუამდგომლობას მთავრობა ამ დღეებში განიხილავს.

ფინანსთა სამინისტროში

უკანასკნელ თვის განმავლობაში ფინანსთა სამინისტრომ შეიმუშავა და მთავრობას წარუდგინა მთელი რიგი კანონპროექტებისა და ღონისძიებათა, რომელთა მიზანია საქართველოს ხაზინის შემოსავლის გადიდება:

1. ფინანსთა სამინისტროს წინადადებით მთავრობამ საგარეო მინისტრს დაავალა უკრაინასთან ურთიერთობა გამართოს იქიდან საქართველოში შაქრის შემოზიდვის შესახებ.

თუ საქმე სათანადოდ დაგვირგვინდა მოსალოდნელია შაქრის მონოპოლიის გამოცხადება საქართველოში. განზრახულია თვეში 60,000 ფუთი შაქრის მიღება. გირვანქა შაქარზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწესდება გადასახადი 1 მან., რაც ხაზინის შემოსავალს წლიურად 34 მილიონი მანეთით გაადიდებს.

2. ჯარისკაცთათვის უაქციზოდ თამბაქოს, პაპიროსის ქაღალდის, სპიჩკის და სპირტის დათმობის შეწყვეტის კანონპროექტი მთავრობამ მიიღო. აქედან მოსალოდნელია წელიწადში ნახევარი მილიონ მანეთით შემოსავლის გადიდება.

3. თამბაქოს გადასახადის გადიდების კანონი პარლამენტის დადგენილებით ძალაში შევიდა ენკენისთვის 1-დან; ამით შემოსავალი წელიწადში 14 მილიონ მანეთით იზრდება.

4. პარლამენტს წარედგინა კანონპროექტი სააქციზო დაწესებულების რეორგანიზაციის შესახებ.

5. პარლამენტსავე წარედგინა სათამაშო ქაღალდების მონოპოლიის კანონპროექტი; მოსალოდნელია ამით ახალი შემოსავალი ნახევარი მილიონი მანეთი წელიწადში.

6. პარლამენტს წარედგინა კანონპროექტი ჩაიზე და მის სუროგატებზე აქციზის დაწესების შესახებ. ამის ცხოვრებაში გატარება შემოსავალს 900.000 მანეთით გაადიდებს.

7. მთავრობაშია შეტანილი კანონპროექტი შაქარზე ერთდროულ გადასახადის დაწესების შესახებ; მოსალოდნელია 2.800.800 მანეთის ახალი შემოსავალი.

8. მთავრობაში წარდგენილი წინადადება საბუფეტო ანგარიშებზე გადასახადების დაწესების შესახებ შექმნის ახალ შემოსავალს მილიონ ნახევარ მანეთს წელიწადში.

9. მთავრობის მიერ მოწონებული კანონპროექტი სპირტზე დაწესებულ გადასახადის გადიდება შემოსავალს წლიურად 1.000.000 მანეთით გაადიდებს.

10. მთავრობაში წარდგენილი კანონპროექტი ღვინის გადასახადის გადიდების შესახებ ხაზინის წლიურ შემოსავალს 28 მილიონ მანეთით გაადიდებს.

11. ნავთით ვაჭრობის მონოპოლია, რომლის კანონპროექტი ფინანსთა სამინისტროს გადასახადების განყოფილებაში მუშავდება, ხაზინის შემოსავალს წლიურად 50.000.000 მანეთით გაადიდებს.

12. სააქციზო განყოფილებაშივე მუშავდება კანონპროექტი სააქციზო დებულების დარღვევასთან მებრძოლ ზედამხედველ კომისიების დაარსების შესახებ. ეს ღონის ძიება საერთოდ უზრუნველყოფს არაპირდაპირ გადასახადების წესიერად შემოსავლას.

13. მთავრობაში წარდგენილი კანონპროექტი პირდაპირ გადასახადების აკრების საქმის გასაუმჯობესებლად ზომების შესახებ გაადიდებს შემოსავალს 75 მილიონი მანეთით.

ამნაირად ჩამოთვლილ ღონისძიებათა და კანონპროექტების ცხოვრებაში გატარებით შაქრის მონოპოლიის შემოსავალთან ერთად ხაზინის შემოსავალი წელიწადში 230 მილიონი მანეთით გაიზრდება და გადასახადების აკრება გაუმჯობესდება.

ქართულ-რუსული ლექსიკონი

მოეხსენება ჩვენს საზოგადოებას, რომ ქართულ-რუსულ ლექსიკონის შესადგენად ვმუშაობ აგერ 30-დე წელიწადი. ვმუშაობ ცხრა ასოზე, ყველა დამთავრებულია და თეთრად გადაწერილი. დანარჩენის გადაწერას ვლამობდი მომავალ წელს და ამიტომ ვაპირობდი სამსახურისთვის თავდანებებას ამ ენკენისთვიდამ, მაგრამ ლუკმა პურის ძებნამ, გარეშე საქმე მომიმატა, და როდის დასრულდება ჩემი შრომა, მეც ვერ წარმომიდგენია, რადგან სალექსიკონო მუშაობისთვის მრჩება სულ მცირე დრო, ორიოდე საათი ყოველდღე.

ჩემს ლექსიკონში შედის სიტყვები სამწიგნობრო, სახალხო, სამისადევრო (ინგილოური, ფშავ-ხევსურულ-თუშური, სვანური, მეგრული, რაჭული, გურული, სხვათა შორის, შეკრებილიც ვ. ბერიძისა, ი. ჭყონიასი, ი. ყიფშიძისა, თ. რაზიკაშვილისა, გაჩეჩილაძისა, ბუქურაულისა, პროფ. ივ. ჯავახიშვილის ძვირფასი სატერმინოლოგიო ნარკვევები და აგრედვე მთლად საბას ლექსიკონი ზოგიერთ შესწორებით, საცა ცხადი შეცდომებია). სიტყვები მომყავს თვით ტექსტითურთ და ყველა იმ მნიშვნელობით, როგორც უხმარიათ ჩვენს მამა-პაპებს. სიტყვები ამოღებულია დაბადებიდან, ნუსხების ჩვენებით თუ განსხვავებაა სადმე, აგრედვე უამრავ ხელნაწერებიდან და ყველა კლასიურ თუ თანამედროვე უკეთეს მწერლებიდან. ჩემის გამოთვლით, ეს ახალი შრომა უნდა სჭარბობდეს (სიტყვათი სიმრავლით) სამას ლექსიკონს ერთი-ათად, ხოლო ჩუბინაშვილისას ერთი-ორად. ამას გარდა, ჩემს შრომაში მე შემაქვს სახელები საქართველოს სოფლებისა, ქალაქებისა, წყლებისა, მთებისა, ტბებისა, მოკლე ისტორიულ ცნობის შესახებ, შემაქვს აგრედვე სახელები ქართველ მეფე-მთავრებისა, კათოლიკოს-ეპისკოპოსებისა, გამოჩენილ კაცებისა და თვალსაჩინო მწერლებისა (ძველი დროიდგან ჩვენს დრომდე) და მეცნიერებისა, დართვით მათ ბიოგრაფიებისა, და მოკლე აღნუსხვით მათ ნამოღვაწისა. ყოველი ასოს (ხმის) განყოფილებაში, დასაწყისშივე, ნაჩვენებია მისი მრავალგვარი ცვლილება.

თუ ღმერთმა ინება და ამ მოუცლელობაში განაგრძო ჩემი უკვე მიხრწნილი ცხოვრების წელიწადები, ქართულ-რუსულ დიდ ლექსიკონს მე დავასრულებ და წარვუდგენ მას საყვარელ სამშობლოს ქართულ სამწერლო და საგრამატიკო მწერლობის საზოგადო განხილვით ლექსიკონის დასაწყისშივე.

მ. ჯანაშვილი.

ზოგი სიტყვები

გარი. ეს სიტყვა გვხდება დანიელის წიგნში—4—12. ასეა: „მწუანვილსა (№ 471—მდელოსა), შორის გარისა (№ 471—ველისა). ამას უდრის ბერძნულში (ალექსანდრიულში) „აგრუ“, ხოლო აგროს ნიშნავს მინდორს, აგარაკს, სოფელს, მამულს, სანახებს (Предмѣстье). რუსულსა და სლავურში მის ბარია „პოლევოჲ“, „Предмѣстье“. ცხადია, რომ **გარი** წარმომდგარა სიტყვიდან გარე, გარეთ („ვნე“) და ამიტომ გარე—ყოფნა ითარგმნება **быть въ полѣ, на дачѣ**, გარეობა კი აგარას ყოფნა, მინდვრად ყოფნა **быть на хуторѣ** (იხ.დასტურ.—რიგ, სკა. გურამიშ. 33, მუდამ შინ იჯდის განცხრომით, ვერ გასძლის გარეობანი. მისგანვე გარენი=მეგრ. გალენი **окрестности**.

კარსანი=კარხნი. ასრე ერქვა ძველი დროიდანვე სოფელ კარსანს, დიღმის ველის თავში, მთასა და მტკვარს შორის, და ჰკეტავდა თბილისიდან მცხეთაში მიმავალ გზას, ხოლო ბიბლიეში კარსე, ნიშნავს преддверіе. მსაჯ. 3—23: გამოვიდა **კარსესა** და გამოვლნა განწესებულნი იგი და დაჰკშნა კარნი ქორისნი.

აელება. ჩუბინაშვილის ლექსიკონში გამოტოვებულია. საბათი აელება „ხმათა შეწყობა სირთაგან“. მეტად ნაზი სიტყვაა და აქამდე არც ერთ მგოსანს არ უხმარია, სამწუხაროდ.

გაბოლება. ჩვენში იციან ჩიბუხის გაბოლება, სახლის გაბოლება ანუ გაბოლიანება კომლით, ხოლო ინგილოები გაბოლებას ეძახიან ციებ-ცხელების მოკიდებას (პარაქსიზმს). ამავე ძირიდან საბიშია „**განბორება**, კეთრის სნეულება“. ჩუბინაშვილი შეცდომით სწერს: „განბორგება, განბორკება“ და თარგმნის проказа-დ!

განშუა, განშვა. ნიშნავს გასუქებას, გაფართოება-განშვებას. 2 სჯული 32—15: განძღა და შეჰზრიობდა საყუარელი იგი, განსუქნა,განსხუა, განიშუა **насытися и оповѣржеся возлюбленный, уты, утолстѣ, раширѣ**, რუსულშია: **утучнѣлъ и сталъ упрямъ: утучнѣлъ отолстѣлъ и разжирѣлъ.**

განვლთომა, გაყოფა. საქმე 23—7: განივლთა სიმრავლე собраніе раздѣлилось. ლუკა 12—23: განევთას მამაჲ რისაგან (№ 405)=დაბექდ. განყოფად=სდავ. **Раздѣлится.** მარკ. 3—24: მეუფებაჲ მეუფებასა განევლთას (ურბნისისაში: განევთას, ქსნისაში: განივლთა, ადიშისაში: განიყოს, № 98-ში: განევთა; ლუკა 11—17—18: განევლთის—განევლთა, ურბ. განევთის—განევთა, ადიშისაში: განევთის—განევთა. 4 მეფ. 25—4, განივლთა ქალაქი (№ 646 განუვლთა), რუსულშია **взять былъ городъ.** ქართლ. ცხოვრება 1—177: მეერგასესა წელსა განევლთოს (ნუსხა: განევლტოს) მეფობაჲ მათი.

ვლენა. მისგან: **გავლენილი.** გატარებული რასმე проведенный, **გამვლენელი** проводящій; ანუ **გამვლინებელი** (проводащій, проводникъ), **გავლინებული** (проведенный; токъ?), **გასავლინებელი** (რაც უნდა გაივლინოს რასმე, ან ვინც უნდა გაივლინოს **кого надо послать командировать: გამვლინებელი командирующій, გავლინებული командированный.**

განხანება. საბათი: „ხანის გამოსვლა ჟამთა“. ეზეკიელი 48—15-17: განხანებული, ხანად ქმნილი предмѣстіе. განხანული, ხანული, ხანდახანი, საზიარო ძოვა, რომელსაც სწველს ხან ერთი, ხან მეორე. საბაში: „ხანული, სძის მოზიარენი დიაცნი“. მგონია, რომ სრულიად კანონიერი ექნება, თუ ხანული ვიხმარეთ ბადლად რუსულისა періодическій.

სხანე. რაჭაში ნიშნავს კერიის პირს, კერას. საბაშია სოხანო=სახანო=ხანი=ხანა (ეზეა. 41—8): ხანის ადგილი: ორ კედელს საშუალი კაცამან რომ გაიაროს. სოხანესა ზედა გამსუპნებელი სხეულისაჲ და წყაროსა თანა დამგრილებელი მისი № 52, გვ. 26.—

ხავთანი=ხავონანი იერემია 7—18 ცოლნი მათნი ნაყენ ცმელსა ქმნად ხავონანი. რუსულშია **пирожки.** მთიულეთში ხავოიანი იხმარება ბადლათ სიტყვისა ხინკალი.

მგოსანი. ვახუშტი ჩამოსთვლის **ხელისუფალთ** (გეოგრაფია, გვ. 8): ჩუნჩერახი. ამისი ხელისა იყო: მზარეულთუხუცესი, მეტაბლენი, მეპურენი, მერწყულნი, მგოსანნი, მეწყობრენი. ბუქტაბლაკთა და სხვათა მცემელნი.“ დანაშთენი ცნობები „მგოსანის“ შესახებ იხ. ჩვენს წერილში მუსიკა (ჟურნალ განათლება 1917 წლ., № 4, გვ. 230—240).

ჩუნჩერახობა თამარის კარს იყო. ნათელი ეფინება შოთას სიტყვებსაც: „მიბრძანეს მათდა საქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისა“. ოლონდაც „უბრძანებდნენ“ კარის მოხელე მგოსანს.

იერიში. ინგ. ჰერიში, უახლოვდება ბერძნულს aieresis, რომელიც ნიშნავს „იერიშით აღებას взять приступомъ“.

შობა. ამ სიტყვას რამდენიმე მნიშვნელობა აქვს, სახელდობრ, ა) გაჩენა, ბ) ჩამოშვება спускать, გ) ამოხეთქა, დ) ნთხევა თესლისა (ერექცია). ამ უკანასკნელ მნიშვნელობით ხმარობენ ამ სიტყვას პეტრიწი და სხვები. ზოგ ცხოველებმა შერთვა (совокупленіе) იციანო დროით-დრო, ხანულად, ხოლო კაცმა, ტრედმა და მამალმა—მარადის.მამალნი ყოველ წუთს მზად არიანო შერთვად და თითოეულთა დღეთა შობენო, ე. ი. ანაყოფიერებენ. (ნემესითს, 116). ეს ადგილი ნემესიოდამ მოჰყავს მის რედაქტორს და დასძენს: „სიტყვა მამალი აქ ნემესიასის მთარგმნელს ნახმარი აქვს **ქათმის** მნიშვნელობით **курица** (გვ. 125). აქ მაგონდება ერთი მეცნიერის ნასიბრძნი, რომ სიტყვა მამა-ს მოესმებაო სრული **მდედრობითი** დაბოლოება და ასრე ჩნდებაო სიტყვა მამალი. ნამდვილადკი დაბოლოება **ლი** უდრის არსებით ზმნის შენაკვეცს **ა.** სვანური **ლი**=ქართული ა: მუ-ლი=მამა-ა. არასდროს კურიცა-დ არ ყოფილა მამალი და რადა პეტრიწის ჟამს გაქათმდა და „შობა“ კვერცხები!

მ. ჯანაშვილი.

სამშვილდე.

რადგანაც ისტორიის არ მცოდნე სომხის საზოგადოება, კიდევ გამოდის სადავო ასპარეზზე, ამისთვის ამ წერილში გვსურს აღვადგინოთ ისტორიული ჭეშმარიტება.

სომხის საზოგადოება საქართველოს სამხრეთ ნაწილს ჰაისტანად სთვლის, რადგანაც ამ კუთხეს ქართველები სომხეთს უწოდებენ და ეს წოდება ქართულს ენაზედ აღნიშნავს ჰაისტანსაო.

მართალია, დღეს ჩვენში ასეა, წინედ კი არ იყო ასე. სამხრეთი საქართველოს სახელია „სამხრეთი“ და არა „სომხეთი“, სიტყვა სომხეთი შეცდომით წარმომდგარია „სამხრეთიდამ“.

სიტყვა სომეხი ქართულს ისტორიაში XI საუკუნეში იხმარება, წინა საუკუნეებში კი სომხებ ქართველთაგან „ჰასიანი“ ეწოდებოდა. ქართლის „ცხოვრების“ ძველს ნაწილშიც XI საუკუნის დამდეგამდე, ვერ ნახავთ „არმენიას“, ყველგან მათ მოიხსენებენ ჰასიანათ და ჰაისტანად.

ამ გარემოების შესახებ 1860 წლებში, ჟურნ. „ცისკარში“ კამათიც იყო და ერთი მწვავლული სომეხი გაკვირვებული იყო ამის გამო, რომ ქართველთაგან ჰაისტანს სომხეთი რად ეწოდებაო.

სომეხთა სასარგებლოდ ის გამოვიდა რომ მთელი სამხრეთი საქართველოს დიდი კუთხე თურმე „არმენია“ ყოფილა, და რა შესაწყნარებელია, რომ თბილისის გვერდით, სულ ხუთ ვერსის იქით, საიდამაც იწყება სამხრეთი ნაწილი საქართველოსი, არმენია იწყობოდეს“?

სამხრეთი საქართველი ძველადგან ქართულ სოფლებით იყო დასახლებული, აქ იყო სამი საეპისკოპოსო კათედრა: 1) ბილნელი, 2) დმანელი, 3) მანგლელი. ამ სამს საეპისკოპოსოს იმდენი მრევლი ჰყვანდა, რომ მალე მეოთხე კათედრაც იქმნა დაარსებული ალგელის ხეობაზედ, სოფ. არამენდას ტყეში.

ეს ვრცელი მამულები ბარათაანების და ორბელიანთა საკუთრება იყო. სომხეთა ხსენება ამ კუთხეში არას დროს არ ყოფილა.

სომხები აქ გაჩნდნენ „არმენიის“ აოხრების შემდეგ. ქართველობა განსაკუთრებით შემცირდა მე-18 საუკუნეში, როცა ჩვენი პოლიტიკური ყოფნა საფრთხეში ჩავარდა.

სომხეთა რიცხვი კი საქართველოს მიწა მამულზედ ისე გამრავლდა, რომ ბოლოს ქართველთ მონასტრებს და ტაძრებსაც მითვისება დაუწყეს და სომხურად გადააკეთეს. მაგალ. ახპატის და სანაინის მონასტრები, რომლებიც დღეს სომხებს უპყრიათ. ასევე ბოლნისის სიონის ვრცელი საკათედრო ტაძარიც. ეს ტაძრები დაიკავეს XVIII საუკ. ნახევარს. დღეს აქ სომხის მღვდელი ზის და განაგებს. სომეხნი ისტორიულს ანგარიშს არ უწევენ და მის გამო ადვილათაც ლაპარაკობენ, რომ საქართველოს სამხრეთი ნაწილი—სომხეთიაო.

ზ. ჭიჭინაძე.

ჩვენი სოფელი

რევოლუციამ დასუსხა სოფელი და გოგირდი გადააყარა.

დღეს მხოლოდ ისა სჩანს, რომ სახლებს ყავარი გადაეხადა და შავი ჭირი შევიდა შიგ ობიანი და მუნიანი.

საქართველოს ძველი მატიანენი აღნიშნავდნენ: როცა საქართველოს ბჟეს დასცემდა აზიის რომელიმე მხედართმთავარი, მაშინ აინთებოდა კუდიანი ვარსკვლავი, გაჩნდებოდა ჭირი მომსვრელი.

და თავზარდაცემული ერი ევლტოდა წითელ ნიღაბიან სიკვდილს. ალბად მომავალი მემატიანეც ესრედ აღნიშნავს ჩვენს საუკუნეზე. ყველა სოფლის შარა გზაზე კუბო იხედება, ყველა სახლში საოფლე და სახადი მძვინვარებს, და შეუჩვეველი ხალხი ნებდება სიკვდილს. ყველა სოფლებიდან ისმის ერთი:—„გვიშველეთ, არავითარი მედიცინური დახმარება არ გვაქვს!“ შველა რასაკვირველია არ ეძლევათ. საქართველოში ყველაზე ნაკლები ყურადღება აქვს მიქცეული საავადმყოფოებს, ექიმის ყოლას, აფთიაქის შენახვას და სხ. გაიხსენეთ რომ წამლის ასეთ უშოვნელობაში, სოფლის ადამიანი იძულებულია წამლისთვის ქალაქში ჩამოვიდეს. ქალაქის აფთიაქებიც ცარიელია, იგინი მეტადრე ვერ ასდიან ესპანურ ავადმყოფობას...

ხსნა არ არის...

ამის შემდეგ მაინც უპატრონოს სოფელმა თავის თავს და თადარიგი დაიჭიროს... ახლოვდება ზამთრის სიცივეები, ალბად მაშინ უფრო გამძვინვარდება სენი. მართებს სოფელს დინჯად შეჰხვდეს უბედურობას, ყოველივე ღონისძიებანი მიიღოს ავადმყოფობათა წინააღმდეგ და მკითხავებთან აღარ გარბოდეს...

შ. მათიკაშვილი.

თეატრი და მუსიკა

სახელმწიფო თეატრი. სახელმწიფო თეატრში ოპერის სეზონი განახლდა, დირექციას სათავეში ჩაუდგა ბ-ნი ევლახოვი. პირველად კვირას 3 გიორგობისთვეს მეხუთეჯერ დადგეს „პიკოვაია დამა“, რომელსაც აურებელი ხალხი დაესწრო, გუშინ დადგეს პირველად „მადამ ბუტერ ფლეი“ ჩიო-ჩიოსანის როლში გამოვიდა ქ-ნი ა. შულგინა, რომელმაც შეჰქმნა მგრძნობიარე სახე, უკვე თბილისისთვის ნაცნობი. დღეს მიდის „ევგენი ონეგინი“. მონაწილეობენ: შვანბერგი, მოროზოვა, ზალიპსკი, ფრენსკი.

„ლადია არგონავტოვ“ მე-17 ციკლის ახალი პროგრამის, რომელშიც შედის: „ვენგერული რაპსოდია“ შესრულებს მ. ბაჟერზაკსი და ს. ვაკარცი, „რაინდები“, გრ. რობაქიძის ლექსი სცენისთვის გადაკეთებული. სერგეი გოროდეცკის შარჟი „ოთახის გაქირავება“ თბილისის ავტორების: ფსევდონიმით—„Blauc et noir“, „ტრავუშკა“ ჩაიკოვსკის და შესრულებს მ. სევანოვა—ზელიონაია და „გაშვებული ცოლები“ შეასრულებენ ბურაგოცეხანოვსკაია და ა. ბალაბანი.

„დრმა ტარტო“ დღეს პირველად ივ. სურგუჩევის პიესა „შემოდგომის ჭიანურები“, მონაწილეობს მთელი დასი, ხვალ „კარგათ შეკერილი ფრაკი.“

რედაქტორი გერონტი ქიქოძე.

განცხადება

საქართველოს რკინის გზის სამმართველო ამით აცხადებს მგზავრთა საყურადღებოთ, რომ სათბობი მასალისაგან გამოწვეულ პირობის გამო 10 აგვისტოდან მატარებლების მიმოსვლა იცვლება შემდეგ ნაირათ:

თბილისიდან გადის

			საათი	წ.
ფოთისკენ	№ 23		7	50
„	№ 3	ღამის	10	30
ქუთაისისკენ	№ 9/10	საღამ.	7	17
განჯისკენ	№ 4	ღამის	11	10
„	№ 8	დღის	3	35
სანაინისკენ	№ 4/30	დღის	1	—

თბილისში მოვა

ფოთიდან	№ 24	შუად.	12	47
„	№ 4	საღამ.	6	54
ქუთაისიდან	№ 11/12	დილის	6	53
განჯიდან	№ 3	საღამ.	4	30
„	№ 7	დღის	8	30
სანაინიდან	№ 40/3	დილის	11	—

თბილისის დროით.

კერძო სამკურნალო
ექ. ა. დ. ალექსიძის

მომსვლელ ავადმყოფთათვის ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები:

გ. მ. რეკვავა—შინაგანი და ნერვების ავადმყოფობანი 9—11 ს.

მ. მ. ტყემალაძე—კანის და ვენერიულ . სიფილ. ს. 607—914 [illegible] ლიხ) 11—12 ს.

ი. ა. ლაზარევი—საბებიო საშვილოსნო ავადმყოფობანი 12—1 ს.

ნ. თ. ანდრონიკაშვილი—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 1—2 ს.

ა. დ. ალექსიძე—შინაგანი და ქალთა სნეულებანი 2—4 ს.

მ. ნ. იშხნელი—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 46 ს.

ს. გ. ჯაფარიძე—საბავშვო ავადმყოფობანი 6—7 ს.

ი. ა. ხათრიძე—ბაქტეოროლოგი სამკურნალოს ლაბორატორიისა, სადაც შეიძლება ანალიზის მოხდენა (შარდის, სისხლის, ნახველისა და სხვ.), ელექტრიზაცია, მასსაჟი, აცრა და ნემსების გაკეთება.

სამკურნალოში ღამითაც იმყოფება მორიგი ექიმი.

მისამართი: ირაკლის ქუჩა, № 9, ეგზარხოსის მოედანთან, ტელეფონი № 9—49.

სამკურნალოს დირექტორი ექიმი
ა. დ. ალექსიძე.

ახლად მოწყობილი სტამბა
ხელოვნება
(ველიამინოვის ქუჩა № 20)
ღებულობს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს. გამოცდილ მუშათა ინიციატორობით საქმეებს ასრულებს: სწრაფად, პირნათლად და დიდათ დაკლებულ ფასებში.

იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა
ალ. ასათიანის ნაწერი
მიწის საკითხი საქართველოში
წინასწარი დაკვეთა შეიძლება „საქართველოს“ რედაქციაში.
(10—10)

ექიმი
ნიკ. ი. მახვილაძე
იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე.
ელექტრო-ტერაპია
მისამართი: მოსკოვის ქ. № 11.
ზემელის აფთიაქის მახლობლად.
თ.—1536—50

ქალ. ქუთაისში
მიხეილის ქუჩ. წითელ ხიდთან გაიხსნა
ქირ. და ქალთა სნეულებ. ს
საავადმყოფო
სამშობიარო განყოფილებ.
მწოლარე ავადმყოფებს იღებენ ყოველ დროს. 15—1739—11

სამკურნალო კაბინეტი ექიმის
ალექსანდრე დავითის [illegible]
[illegible]
იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 9 საათ. 11 საათ. და საღამოს 5 საათ. 7 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ, ტელეფონი 14—28.

მარტის 20 გაიხსნა ახალი
სამკურნალო
[illegible]
საავადმყოფოში იარსებებს კბილის საექიმო კაბინეტი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბორატორიით.
მიხეილის პროსპექტის („კიროჩნი“ ქუჩ. კუთხე № 22, შესავალი კიროჩნი ქუჩიდან). ტელეფონი 10—37.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევს 3 ს-დე.
ვენერიულ ავადმყოფების მიღება—საღამოს 4-დან—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 საათამდე.
ღარიბები მიიღებიან კვირაობით, 10—12-მდე უფასოდ.

მედიცინის დოქტორი
ბერლინის უნივერსიტეტისა
გ. გ. მეგრაბიანცი
ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.
შინაგანი ავადმყოფობა, ჰლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

გაიხსნა
თვალის საავადმყოფო
(მუდმივი საწოლებით)
ექიმი დონხინისა
ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ კლინიკისი ვენაში და პარიზში. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფი „აპოლო“-ს ახლო) მძიმე ავადმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში.
ტელეფონი 5—97.

ექიმი
გ. წინამძღვრიშვილი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 11 საათიდან 1 საათამდის და საღამოს 6-დან 8-მდე. გულის, ფილტვისა და სისხლის სპეციალური. მისამართი: ელისაბედის ქ. 7, სასტუმრო „ბომონდის“ ახლოს.

დოქტორი მედიცინისა
[illegible]
[illegible]
უფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფების მიღება ოლღას ქ. № 3 სახლი მელიქ. აზარიანცის დილით 8—9-მდე. საღამოს 5—7. ტელეფ. № 17—21.

სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა, გამაევის შესახვევი № 1.